ახალი განათლება

22 - 28 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№31 (705) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

თამარ სანიკიძე რეგიონებში განახლებული სკოლების მონახულებას და ადგილზე არსებული საჭიროებების გაცნობას აგრძელებს. ამჯერად, მინისტრი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღას საჯარო სკოლას ეწვია, ზაფხულის პერიოდში განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო და სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს დავით დიხამინჯიას სამინისტროს ჯილდო – სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ გადასცა.

ინტერვიუ რექტორთან

უნივერსიტეტის წარმატებას სტუდენტების საჭიროებების ცოდნა განაპირობებს

რუბრიკის სტუმარია სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს რექტორი გია კავთელიშვილი

გვერდი 5

რას ნიშნავს 5-კრედიტიანი ტრენინგი

რა აქტივობების შესრულება დასჭირდებათ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომ უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭოთ – გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი სოფიკო ლოგჟანიძე.

გვერდი 2

პედაგოგთა დასახმარებლად

რა არის შეკრება და გამოკლება

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

გვერდი 7

კვლევითი სწავლების მეთოდი

სამოქალაქო განათლება

გვერდი 8



მიწიერი სამოთხე, რომელშიც ჯერ არავინ გვიშვებს

სტუმარი – პოეტი მარიამ წიკლაური

„ჩემი სამყარო – ეს ყველაფერში გაცხადებული რწმუნებაა, რომ ადამიანი უფლისაა, რომ დიდ ომშია, რომ არ უნდა დაკარგოს იმედი და მხნეობა, სევდასთან ერთად სიხარულიც უნდა ედგას გულში, რომ ადამიანად დარჩეს ამ რთულ დროში. ბუნების და მთელი სამყაროს გადაშლილი წიგნი იკითხოს და იფიქროს, რისთვის მოვიდა ამქვეყნად? იქნებ სულაც თავისი წილი ბედნიერების საპოვნელად, თავისი კოსმოსის შესაქმნელად.“

გვერდი 4

CMYK

სამეცნიერო სემინარი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში „მედიაპროპაგანდა – ისტორიული რაკურსი და თანამედროვეობა“

17 ოქტომბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო სემინარი გაიმართა, სახელწოდებით: „მედიაპროპაგანდა – ისტორიული რაკურსი და თანამედროვეობა“.

სამეცნიერო სემინარის მიზანს წარმოადგენდა: საქართველოში ერთიანი აკადემიური გარემოს განვითარების ხელშეწყობა; უმაღლეს სკოლებს შორის სამეცნიერო კავშირების ფორმირება, ნაყოფიერი პროფესიული ურთიერთობების განვითარება; სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირება – ურთიერთთანამშრომლობა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება; სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის კონტაქტების დამყარება; უმაღლესი სასწავლებლების კვლევითი საქმიანობის რეალურ საბაზრო მოთხოვნებთან დაკავშირება.

სემინარი საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ნათია კუპრაშვილმა** გახსნა. მან აღნიშნა, რომ ლოკალური მედიის განვითარება გარკვეულწილად გაუმკლავდება პროპაგანდას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის საინტერესო და მრავალფეროვანი პროდუქცია კსუ-ს ჟურნალისტიკის პროგრამის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მულტიმედია ცენტრის პროდიუსერმა **ნინო ჭალაგანიძემ** და კსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეულმა პროფესორმა, მულტიმედია ცენტრის პროდიუსერმა **რუსუდან კვარაცხელიამ** წარადგინეს. სემინარზე არსებულ ბაზაზე მომზადებული, გასული წლის სტუდენტური ფესტივალის პრიზიორი ფილმის „შვიდქალა“ ჩვენება მოეწყო.

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **თამარ დოლბაიამ** შეხვედრაზე საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ტექნოლოგიები ისტორიულ ჭრილში განიხილა.

სემინარის ფარგლებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის პროგრამის გენერალური პროდიუსერის, **რევაზ ჭიჭინაძის** წიგნის – „სამაუწყებლო მედიაპროპაგანდის ანალიზი (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან ვარდების რევოლუციამდე)“ – პრეზენტაციაც გაიმართა.

კსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეულმა პროფესორმა **დავით ძიძიშვილმა** შეხვედრაზე განიხილა მედიის როლი ჰიბრიდულ ომში (უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიხედვით) და აღნიშნა, რომ სამეცნიერო სემინარები ყოველთვის მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან ეს ინსპირირებაა ახალი კვლევებისათვის.

სემინარის თემატიკამ დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მომხსენებლებმა ისაუბრეს საბჭოთა პროპაგანდასა და ეროვნულ იდეაზე კინოდოკუმენტალისტიკაში XX საუკუნის 30-იან 80-იან წლებში, მწერლობის არსის წვდომის დისკურსიულ პარადიგმებზე, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმაზე და ა.შ.

სამეცნიერო სემინარის მუშაობაში 13 მონაწილე ჩაერთო, მოხსენებით კი აუდიტორიის წინაშე 9 გამომსვლელი წარდგა. სემინარს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ.

ღონისძიების დასასრულს, სამეცნიერო სემინარის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მსგავსი მასშტაბური შეხვედრები მომავალშიც იგეგმება.

პროფესიული განვითარება

პრაქტიკოსი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები

რას ნიშნავს 5-კრედიტიანი ტრენინგი

დასრულდა სქემის მიხედვით მასწავლებელთა საფეხურებზე გადანაწილება. საბოლოო მონაცემებით, დარეგისტრირდა 61 318 მასწავლებელი, აქედან პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა 45 931 მასწავლებელს, უფროსი მასწავლებლის – 15 236-ს, წამყვანის – 151 პედაგოგს, ჯერჯერობით არ გვყავს მენტორი მასწავლებელი. დღევანდელი მონაცემებით სისტემაში სულ 68 890 მასწავლებელია, აქედან 60 581 პედაგოგი დასაქმებულია საჯარო სკოლაში, 8 309 – კერძოში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ამოქმედების პირველი წელი საპილოტედ გამოცხადდა. პედაგოგებს, სქემაში ჩართვისთანავე, სქემით განსაზღვრული სავალდებულო და დამატებითი აქტივობების შესრულება მოუწევთ, სტატუსის შენარჩუნების ან ამაღლების მიზნით. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს სისტემაში ყველაზე მეტი პრაქტიკოსი მასწავლებელია და თან ეს საფეხური მილევადია – სამი წლის განმავლობაში, სქემის მიხედვით, არც ერთი პრაქტიკოსი მასწავლებელი აღარ იქნება – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტს, სოფიკო ლოგუანიძეს ვთხოვეთ, დეტალურად ესაუბრა რა აქტივობების შესრულება დასჭირდებათ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომ უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭოთ.

– დასრულდა სქემის მიხედვით მასწავლებელთა გადანაწილება საფეხურებზე, როგორია სურათი?

– მასწავლებელთა საფეხურებზე გადანაწილების შედეგად შემდეგი სურათი გვაქვს: პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა ყველა არასერტიფიცირებულ მასწავლებელს და მათი რიცხვი შეადგენს – 45 931; უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა 15 236 მასწავლებელს; სქემაში მასწავლებელთა გადანაწილების შედეგად დადგინდა, რომ ამაჟამად სისტემაში გვყავს 151 მეცნიერებათა დოქტორი, რომლებიც ასევე არიან სერტიფიცირებულნი, მათ წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ . მოგეხსენებათ, რომ სქემაში გადანაწილების შედეგად მენტორის სტატუსი არც ერთ მასწავლებელს არ მინიჭებია, თუმცა, ნებისმიერი მასწავლებელი, რომელიც თანმიმდევრული იქნება საკუთარ პროფესიულ განვითარებაში, წარმატებით განახორციელებს სქემით გათვალისწინებულ აქტივობებს და შეძლებს ყოველი მომდევნო კატეგორიის, მათ შორის მენტორის სტატუსის მოპოვებას.

– დავიწყოთ პირველი საფეხურიდან, რადგან მასწავლებელთა უმეტესობა სწორედ ამ საფეხურზე გადანაწილდა. რა აქტივობები უნდა განახორციელოს პრაქტიკოსმა მასწავლებელმა, რომ შემდეგ საფეხურზე გადავიდეს?

– რადგან პრაქტიკოსი მასწავლებელი სისტემაში ყველაზე მეტი გვყავს, ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია, შევთავაზოთ მათ მხარდამჭერი ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარებათ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში. თუ უფრო მაღალი სტატუსის მქონე პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ როგორც სტატუსის შენარჩუნების, ასევე მომდევნო სტატუსის მოპოვების, პრაქტიკოსი მასწავლებლები ამ არჩევანის შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. მათ უნდა დააგროვონ კრედიტების ის რაოდენობა, რამდენიც შემდეგ საფეხურზე გადასასვლელადაა საჭირო. პრაქტიკოსის სტატუსი არ ნარჩუნდება.

პრაქტიკოსმა მასწავლებელმა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს 19 კრედიტი შემდეგი სავალდებულო აქტივობებით: საგნის გამოცდის ჩაბარება (10 კრედიტქულა), რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში მასწავლებელი ადასტურებს საგნობრივ კომპეტენციას და რომლის ჩაბარების ვალდებულება მას აქვს სქემაში განაწილებიდან სამი წლის განმავლობაში. გამონაკლისს წარმოადგენს სპორტის, მუსიკისა და არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები, რომელთა შემთხვევაში სამწლიანი ვადა აითვლება იმ დროიდან, როდესაც მათთვის პირველად იქნება შეთავაზებული გამოცდა. პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სავალდებულო აქტივობას ასევე წარმოადგენს პროფესიულ უნარებსა და საგნობრივ მეთოდიკაში 5-კრედიტიანი ტრენინგ-კურსი. ამ კურსის გავლის წინაპირობაა საგნის გამოცდის წარმატებით დაძლევა. გარდა ამისა, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სავალდებულო აქტივობაა ასევე სკოლის შეფასების ჯგუფის მიერ ორჯერ დაკვირვება გაკვეთილზე, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში მასწავლებელს მიენიჭება ოთხი კრედიტი. თუმცა, სკოლის შეფასების ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დაკვირვებას ასევე აქვს განმავითარებელი ფუნქცია. გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ, შეფასების ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, დაძლიოს მისი სუსტი მხარეები და გაიუმჯობესოს პრაქტიკა.

მართალია, პრაქტიკოს მასწავლებელს მხოლოდ სავალდებულო აქტივობების წარმატებით განხორციელება მოეთხოვება მომდევნო სტატუსის მოსაპოვებლად, მაგრამ მას, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია განახორციელოს დამატებითი აქტივობებიც და როდესაც პრაქტიკოს მასწავლებელს მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი, იგი ცარიელი კალათით არ შევა უფროსი მასწავლებლის კატეგორიაში, არამედ კრედიტების გარკვეული რაოდენობით, რომლებიც დამატებითი აქტივობების კრედიტებად უღიარდება.

– პრაქტიკოს მასწავლებლებს შორის წილობრივად რომელია მეტი, ვისაც საგნის კომპეტენცია აქვს დადასტურებული თუ ისინი, ვისაც პროფესიული ზოგადი უნარების გამოცდა აქვთ ჩაბარებული?

– პრაქტიკოსი მასწავლებლებიდან 2 388-ს საგანი, ხოლო 6 336 -ს პროფესიული უნარების გამოცდა აქვს ჩაბარებული.

– დავუბრუნდეთ პრაქტიკოსი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობებს. საგნობრივ გამოცდაზე უკვე ვისაუბრეთ და ახლა განვმარტოთ, რას ნიშნავს 5-კრედიტიანი ტრენინგი.

– როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის 5-კრედიტიანი ტრენინგ-კურსი წარმოადგენს სავალდებულო აქტივობას. იგი შეგვიძლია განვიხილოთ პროფესიულ უნარებში სერტიფიცირების გამოცდის საპირწონედ. რატომ გადაწყდა პროფესიულ უნარებში გამოცდის ჩანაცვლება ტრენინგ-კურსით? პროფესიული უნარების გამოცდის შემოღება სერტიფიცირების პირველ ეტაპზე არ იყო

პროფესიული განვითარება

ურიგო, რადგან გამოცდისთვის მზადების პროცესში მასწავლებლებმა დაამუშავეს უფრო მეტი პროფესიული ლიტერატურა, შეიძინეს გარკვეული ცოდნა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, მაგრამ რეალურად, რას აკეთებდა მასწავლებელი კლასში, როგორ იყენებდა ამ ცოდნას პედაგოგიურ პრაქტიკაში, გამოცდით ამის შეფასება ვერ ხერხდებოდა.

პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის შეთავაზებული 5-კრედიტიანი ტრენინგ-კურსი კი იქნება პრაქტიკული და ძირითადი ყურადღება მიექცევა იმას, თუ როგორ მოახდენს მასწავლებელი ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერს სასკოლო გარემოში.

მასწავლებლისთვის შეთავაზებული ტრენინგ-პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგება – ზოგადი პროფესიული უნარები (3 კრედიტი) და საგნობრივი მეთოდიკა (2 კრედიტი). პროგრამის მიზანია ხელი შუწყოს მასწავლებელს მეთოდური კომპეტენციების ამაღლებაში, რათა ის შეესაბამებოდეს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს.

ხუთ კრედიტიანი ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებს ვთავაზობთ როგორც სავალდებულოდ გასავლელ, ასევე არჩევით ტრენინგ-მოდულებს. მინდა ასევე დავძინო, რომ აღნიშნული პროგრამა ყველა პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის დაფინანსებული იქნება სახელმწიფოს მიერ.

– რომელი მოდულია სავალდებულო და რომელი – არჩევითი?

– სავალდებულო მოდულებად, ამ ეტაპზე, განვსაზღვრეთ ის მოდულები, რომელთა თემატიკის ფლობა არის ის ძირითადი საფუძველი, რაც მასწავლებელს ეხმარება მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში.

5-კრედიტიანი ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში, სავალდებულო მოდულების გარდა, მასწავლებლებს ვთავაზობთ არჩევით მოდულებს, მაგ. კლასის მართვა და კონფლიქტები, კომუნიკაცია და მოტივაცია, სწავლისა და განათლების თანამედროვე თეორიები და სხვ. როდესაც მასწავლებელი თვითშეფასების საფუძველზე აღმოაჩენს საკუთარ სუსტ მხარეებს, თვალი უნდა გადაავლოს 5-კრედიტიანი ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ არჩევით მოდულებს და აირჩიოს ის, რომელიც მას თვითშეფასების შედეგად აღმოჩენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრაში დაეხმარება.

– რა არის სპეციფიკური ამ მოდულებში?

– როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ამ მოდულებში აქცენტი იქნება გადატანილი თეორიულად მიღებული ცოდნის გამოყენებაზე. ჩვენ მიერ შეთავაზებულ მოდულებში მსმენელის შეფასების კომპონენტები განსხვავებული იქნება მათი სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა, ყველა მოდულში მასწავლებლის შეფასების დროს, ძირითადი ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ როგორ იყენებს ტრენინგზე მიღებულ ცოდნას საკლასო ოთახში, მოსწავლეებთან; როგორ შეუძლია ჩატარებული გაკვეთილის თუ სხვა სასკოლო აქტივობების რეფლექსია და რეფლექსიის შედეგების გათვალისწინებით კორექტირების შეტანა პედაგოგიურ პრაქტიკაში. ყოველი მოდულის წარმატებით გავლის შემთხვევაში მასწავლებელს მიეცემა მოდულის გავლის დამადასტურებელი ცნობა. ხოლო ხუთივე კრედიტის გავლის შემთხვევაში მასზე გაიცემა ტრენინგ-კურსის გავლის სერტიფიკატი.

– როდის ამოქმედდება რეალურად ეს ტრენინგ-პროგრამა და რა ინტენსივობით მოუწევთ მასწავლებლებს ტრენინგებზე დასწრება?

– უკვე ვახსენე, რომ აღნიშნული ტრენინგის გავლის წინაპირობა არის საგნის გამოცდის ჩაბარება. მასწავლებლებს, რომელთაც უკვე ჩაბარებული აქვთ საგნის გამოცდა, ოქტომბრის ბოლოდან მიეცემათ შესაძლებლობა, დარეგისტრირდნენ ხუთკრედიტიან ტრენინგ-პროგრამაზე. მოხდება ჯგუფების დაკომპლექტება რეგიონულ ან რაიონულ დონეზე. შეძლებისდაგვარად, ბენეფიციარებს მოვემსახურებით ადგილებზე. მასწავლებელმა თავდაპირველად უნდა მოისმინოს ტრენინგ-მოდულები ზოგად პროფესიულ უნარებში, შემდეგ კი ტრენინგ-მოდული – საგნობრივ მეთოდიკაში.

ტრენინგები ძირითადად ჩატარდება შაბათ-კვირას. სატრენინგო დღეებსა თუ მოდულებს შორის მთელკვირიანი ინტერვალი მასწავლებელს დაეხმარება მიღებული ცოდნა და გამოცდილება მოსინჯოს პრაქტიკაში, შემდეგ შეხვედრაზე კოლეგებს და ტრენერ-კონსულტანტს გაუზიაროს გამოცდილება, მიიღოს და გაითვალისწინოს რჩევები და რეკომენდაციები.

– თქვენ გარდა ვინ შეიძლება ტრენინგ-მოდულები შესთავაზოს მასწავლებლებს?

– ჯერჯერობით, პირველ ეტაპზე, მასწავლებლებს 5-კრედიტიან მოდულებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სთავაზობს. თუმცა, ჩვენი სტრატეგია და ხედვაა, რომ სერვისების მიწოდება არ ხდებოდეს ცენტრალიზებულად.

იმედი გვაქვს, რომ პროფესიული განვითარების პროგრამების განახლებული სააკრედიტაციო წესი, რომელიც უკვე მომზადებულია, მალე დამტკიცდება და საგანმანათლებლო პროვაიდერ ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცემათ, ჩაერთონ მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების სხვადასხვა სერვისების მიწოდებაში.

– როგორ შემოვლენ მსურველები მასწავლებლის პროფესიაში?

– მოგეხსენებათ, მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიაში შემოსვლის დივერსიფიცირებულ გზებს. ერთი გზა გახლავთ საუნივერსიტეტო განათლებით. ახალი კონცეფციის მიხედვით მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადება მოხდება მიმდევრობითი და პარალელური პროგრამებით. მიმდევრობითია პროგრამა, როდესაც აბიტურიენტი თავიდანვე არჩევანს აკეთებს მასწავლებლის პროფესიის სასარგებლოდ და უნივერსიტეტში იწყებს სწავლას მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ (300 კრედიტიან) პროგრამაზე. პარალელური პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტი არჩევანს აკეთებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესასაბამისი დარგის საბაკალავრო პროგრამაზე და პარალელურად გადის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. ამ პროგრამების წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს მასწავლებლობის უფლება უფროსი მასწავლებლის სტატუსით. მუშაობის დაწყების შემთხვევაში მას აქვს ვალდებულება, ერთი წლის განმავლობაში წარმატებით გაიაროს გარე დაკვირვება.

გარდა ამისა, სქემა განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიაში შემოსვლის მოკლე გზას. მასწავლებლობის მსურველები, რომელთაც აქვთ, სულ მცირე, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის დარგში, აბარებენ საგნის გამოცდას, გადიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ მოიპოვებენ მასწავლებლობის უფლებას და, სკოლაში მუშაობის დაწყების შემთხვევაში, მიენიჭებათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა, ვალდებულებად რჩება, მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, გარე საგაკვეთილო დაკვირვების წარმატებით გავლა. ხოლო მასწავლებლობის მსურველებს, რომელთაც დიპლომის მიხედვით აქვთ პედაგოგიური საქმიანობის უფლება ან უკვე მოპოვებული აქვთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატი, საგნის გამოცდის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცემათ, დაიწყონ სკოლაში მასწავლებლად მუშაობა უფროსი მასწავლებლის კატეგორიაზე, იმავე ვალდებულებებით, რაც ზემოთ აღვნიშნეთ.

– საინტერესოა ისიც, რომ დამწყებ, ანუ მასწავლებლობის მსურველ კანდიდატს, არ აქვს მასწავლებლად მუშაობის არანაირი გამოცდილება. ასეთ შემთხვევაში, როგორ გააკეთოს სკოლამ არჩევანი?

– მასწავლებლის მომზადების პროგრამები იქნება გაჯერებული სასკოლო პრაქტიკით, რომელიც ჩაშენებული იქნება გამოყენებით პედაგოგიურ კურსებში და ასევე განხორციელდება, როგორც დამოუკიდებელი კურსი. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამით კი, გარდა ამისა, განსაზღვრულია ერთი წლის განმავლობაში ინტენსიური, დამოუკიდებელი სასკოლო პრაქტიკა, სადაც სტუდენტი ასევე ახორციელებს პრაქტიკის კვლევას, რის საფუძველზეც აფორმებს სამაგისტრო თეზისს. ამდენად, განახლებული პროგრამებით მომზადებული კადრები, საუნივერსიტეტო განათლების პროცესში უკვე სასკოლო პრაქტიკასთან ნაზიარევი იქნებიან. გარდა ამისა, დამწყები მასწავლებელი ხომ ერთწლიანი გამოსაცდელი ვადით შემოდის უფროსი მასწავლებლის კატეგორიაზე, მან მისი პრაქტიკული უნარები საგაკვეთილო დაკვირვებით უნდა დაადასტუროს.

– რეალურად, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში, დამწყები მასწავლებელი არ გვეყოლება?

– მასწავლებლობის მსურველი კანდიდატი, რომელიც იანვარში წარმატებით დაძლევს საგნის გამოცდას და უკვე გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (60-კრედიტიანი) პროგრამა ან დიპლომით აქვს მინიჭებული მასწავლებლობის უფლება, უკვე შეძლებს მასწავლებლად მუშაობის დაწყებას და სკოლასთან კონტრაქტის გაფორმებას.

– რა მნიშვნელობა აქვს შიდა სასკოლო დაკვირვებას?

– შიდა საგაკვეთილო დაკვირვების ძირითადი ფუნქცია არის განმავითარებელი. მასწავლებელი შეფასების ჯგუფისგან იღებს უკუკავშირს მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, რჩევებსა და რეკომენდაციებს, თუ როგორ აღმოფხვრას არსებული ხარვეზები. სკოლაში ფასილიტატორისა და სკოლის შეფასების ჯგუფის არსებობა ხელს შეუწყობს თითოეული პედაგოგის პროფესიულ ზრდას, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას და, რაც მთავარია, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას.

– როგორ გააკონტროლებთ შიდა დაკვირვების ობიექტურობის ხარისხს?

– შიდა სასკოლო შეფასების ობიექტურობის გაზომვის არაერთი საშუალება არსებობს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში დამუშავების პროცესშია გარე მონიტორინგის სტრატეგია, რომელშიც დაწვრილებით იქნება გაწერილი სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის მუშაობის მონიტორინგის გეგმა. შიდა დაკვირვების ობიექტურობის ხარისხი შეიძლება შეფასდეს, მაგალითად, შემდეგი გზით: გაანალიზდება შიდა და გარე დაკვირვების შეფასებების შედეგები, რაც, სავარაუდოდ, დაგვანახებს, რამდენად ობიექტურად მიმდინარეობს შიდა შეფასება. რეალისტები ვართ და ვიცით, რომ პრობლემები იქნება, შეგვხვდება არაობიექტური შეფასების შემთხვევები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში გამოწვეული იქნება შეფასების ჯგუფის ზოგიერთი წევრის გამოუცდელობით ამ მიმართულებით. ჩვენი ძირითადი ძალისხმევა სწორედ იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ რაიმე ჩავარდნის, ხარვეზის აღმოჩენისას შესაბამისი აქტივობებით დავეხმაროთ შეფასების ჯგუფს ხარვეზების აღმოფხვრაში.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

ბათუმის უნივერსიტეტი 80 წლისაა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს 80 წლის იუბილე მიულოცა, სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძესთან და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერ თანამშრომლები ღირსების ორდენით, ღირსების მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, ბათუმის უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო ცხოვრების ამსახველი, საზოგადოებისთვის უცნობი ფოტოებისა და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიღწევების გამოფენა (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სხვ.) მოეწყო. გაიმართა უნივერსიტეტის საიუბილეო წიგნის – „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საგანმანათლებლო კერა – 80“ – პრეზენტაცია. ორენოვან საიუბილეო წიგნში წარმოდგენილია უნიკალური საარქივო მასალა უნივერსიტეტის ისტორიასა და მიღწევებზე, ასევე, შედგა უნივერსიტეტის ჰიმნის (ტექსტის ავტორი – დავით თედორაძე, კომპოზიტორი – ანა ქასრაშვილი) წარდგინება ანსამბლ „ბათუმის“ შესრულებით.

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, გაიმართა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორების არჩევის ცერემონია. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საპატიო დოქტორის ნოდება შვიდ აღიარებულ ქართველ და უცხოელ პროფესორს მიენიჭა.

თამარ სანიკიძე: *„80 წლის იუბილე ნამდვილად მნიშვნელოვანი თარიღია არა მარტო ამ უნივერსიტეტისთვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც პირდაპირ თუ ირიბადაა დაკავშირებული საგანმანათლებლო სისტემასთან. ამ უნივერსიტეტმა მოახერხა ის, რომ, 80 წლის წინ, დაიწყო სულ მცირედით, გაუძლო ქარტეხილებს, რაც ამ პერიოდის განმავლობაში შეხვდა და უპასუხა გამოწვევებს, რომლებიც ამა თუ იმ დროს მის წინაშე არსებობდა. არა მარტო გაუძლო, არამედ დღეს განვითარების ძალიან სერიოზულ ეტაპზეა. ეს არის უნივერსიტეტი, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგიონისთვის, აჭარისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის იმიტომ, რომ აჭარა ერთ-ერთი სტრატეგიული რეგიონია. მას სჭირდება ხელშეწყობა და განვითარება, რომ სწავლების დონე, დაწყებული სკოლიდან, დამთავრებული უმაღლესით, სათანადო დონეზე იყოს. ვფიქრობ, კოლექტივი ნამდვილად იმსახურებს წახალისებას, მხარდაჭერას და ჯილდოს. მინდა წარმატება ვუსურვო იმ სტრატეგიულ მიმართულებებში, რეფორმის იმ ეტაპზე, რომელზეც უნივერსიტეტი დღეს არის“.*

მერაბ ხალვაში, *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი: „დღეს დასკვნითი ეტაპია იმ საიუბილეო ღონისძიებების, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებულ პროფესურას, მეცნიერებს დააჯილდოებენ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოებით – ღირსების ორდენით და ღირსების მედლით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჯილდო არა კონკრეტული პირების, არამედ იმ წვლილისა და დამსახურების აღიარებაა, რომელიც უნივერსიტეტს აქვს 80 წლის განმავლობაში, ასევე, იმ მისიისა, რომელიც ბათუმის უნივერსიტეტს ეკისრება, ზოგადად, ქვეყნის და, კონკრეტულად, ჩვენი რეგიონის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების საქმეში“.*

კახაბერ ქაშიბაძე, *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი: „დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქალაქისთვის, რეგიონისთვის – ჩვენი უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, რაც ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი ჯილდო. თუმცა, უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ ჩემი უნივერსიტეტის, ჩემი ქალაქის, მთელი ჩემი ქვეყნის მიმართ, ვინც ჩათვალა, რომ ამ ჯილდოს ღირსი ვარ. პირადად მე, მიმაჩნია, რომ შრომის ბევრად მეტი წლებია საჭირო, ასეთი ჯილდო რომ დაიმსახურო. მე ამას ვიღებ ავანსად და მთელი ჩემი ცხოვრებით ვეცდები, რომ გადავიხადო“.*

სტუმარი

მიწიერი სამოთხე, რომელშიც ჯერ არავინ გვიშვებს



ნომრის სტუმარია პოეტი
მარიამ წიკლაური

– „უცნაური ბედი დაჰყვა საბავშვო მწერლობას. საბავშვო წიგნზე, ლიტერატურა იქნება ეს, ილუსტრაცია, მეთოდოლოგია თუ სხვა ასპექტი, არავინ საუბრობს და არასდროს მიმოიხილავს, თუმცა ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანს უწოდებს ამ სფეროს“ – ეს არის ამონარიდი თქვენი წერილიდან მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიური ალმანახისთვის. ქალბატონო მარიამ, ეს სიტყვები 2012 წელს დაწერეთ, მას შემდეგ შეიცვალა რამე? რა მდგომარეობაშია დღეს ქართული საბავშვო ლიტერატურა?

– ეს ალმანახი სულ 100 ცალი დაიბეჭდა და პირველი ხართ, ვინც ახსენა ეს წერილი. მიკვირს. მგონია, არავინ არაფერს კითხულობს ფეისბუქსტატუსების გარდა (ეს ნახევრად ხუმრობით). საბავშვო ლიტერატურაზე ხშირად მისვამენ კითხვებს, გაცილებით ხშირად, ვიდრე სადიდოზე. გამიხარდება, თუ ამ კითხვებით სხვასაც მიმართავთ და დააფიქრებთ, ეს დარგი ზრუნვის საგნად აქციოს. მდგომარეობა შეცვლილი დიდად არაა. ჩვენს პოლიტიზირებულ და კომერციალიზირებულ დროში ასეთ სათუთ თემებზე ნაკლებად ხარჯავს დროს საზოგადოება. მსგავსი კვლევებისთვისაც არავინ იწუხებს თავს. ან სჭირდება ვინმეს? აი, ინტერნეტი: ბეჭდე და აქვეყნე, რაც გსურს, მომწონებელს ნახავ. სითამამე ხანდახან სითავხედეში გადასდით მოყვარულებს, იმგვარ ტექსტებს ქმნიან „საბავშვო ლიტერატურის სახელით“. ავტორები კი გვყავს, მაგრამ მათი საქმიანობაც არაფრითაა წახალისებული. ყველა ცდილობს რაღაცას თავისთვის. ხან ახერხებენ გამოცემას, ხან ვერა. მარტო გამოცემაც არაა, ამ დარგში ბევრი ნიუანსია, რომელიც მართლა მოსაგვარებელია, მაგრამ გარემო არაკეთილგანწყობილია, საზოგადოება თავსმოხვეული „პრობლემებით“ ცხოვრობს, სამწუხაროდ, ბავშვებზე ნაკლებადაა ორიენტირებული. ნიჭთან ერთად რამდენი ცოდნა, დაკვირვება, მეთოდოლოგია სჭირდება ბავშვებისთვის საჭირო ტექსტებისა და ნაწარმოებების შექმნას. მართალია, ყველაფერს, ინტუიტიურად, მაინც მხოლოდ ნიჭი განაგებს, მაგრამ ზედმეტი არ იქნებოდა თეორიული ცოდნაც და, ზოგადად, ამ დარგის მიღწევები გააზრებული და გაანალიზებული იყოს. ნიჭიერებს კი ხელშეწყობა ჰქონდეთ, წახალისება, მოტივაცია სამუშაოდ.

– თანამედროვე ქართველი საბავშვო მწერლები პატარებისთვის ნაკლებად ცნობილი არიან. რა არის ამის მიზეზი?

– მწერალი კი არ უნდა იყოს ცნობილი, არამედ მწერლის წიგნები, ტექსტები, პერსონაჟები. ბავშვებს სულ არ აინტერესებთ გვარ-სახელები, თუმცა „ძაღლის თავი“ აქ სხვა რამეშია: თუ დღეს არ აქტიურობ, არ აპიარებ საკუთარ თავს, არ ირჯები მაქსიმალურად შენი ნაშრომის რეკლამირებაზე და ბოლოს „ფეისი“ არ ხდები, მშობელი, ანუ წიგნის მყიდველი არ ენდობა უცნობ გვარ-სახელებს. საერთოდაც ქართველი მყიდველი დიდად არ წყალობს ქართველ ავტორებს და ისედაც გული სულ უცხოელებისკენ უწევს, მით უფრო, არაფერს ნიშნავს მისთვის უცნობი ავტორები. უმრავლეს შემთხვევაში ასეა. დღეს ჩვენი საზოგადოება ძალიან სნობურია. ვფიქრობ, ტელევიზიებმაც უნდა გამოიყენონ საბავშვო ავტორების ადამიანური რესურსები. მაგრამ ვის დაკარგიხარ, ვინ გეძებს... მოგეხსენებათ, აპრილიდან ვმოგზაურობ საქართველოს კულტურის სამინისტროს პროექტ „ცოცხალ წიგნებთან“ ერთად, მთელი საქართველო მოვიარეთ – 61 მუნიციპალიტეტის ცენტრები თუ სოფლები და, უმრავლეს შემთხვევაში, ბიბლიოთეკებში ვანერინებ 10-15 მწერლის გვარს, რომლებიც პოსტსაბჭოური პერიოდიდან მოღვაწეობენ, წიგნებიც აქვთ, მაგრამ არსად მათი გვარი არ იციან და საერთოდაც ეს ხდება საბავშვო ბიბლიოთეკებში. აი, ამდენად არასახარბიელო სიტუაციაა ქვეყანაში. და აბა, ბავშვმა საიდან უნდა იცოდეს რამე, თუ უფროსებს არ ეცოდინებათ, არ მიაწვდიან? იშვიათად შეხვდებით წიგნის მაღაზიას რაიონში, ძალიან იშვიათად. რაიონებია, რომლებშიც ერთ წიგნის მაღაზიას ვერ მიაკვლევთ... აი, ესაა დღევანდელი საქართველო. მართალია, არსებობს ინტერნეტმაღაზიები და შეგიძლიათ წიგნების ელვერსიები შეიძინოთ, მაგრამ ქალაქებს, დაბებს, სოფლებს წიგნის მაღაზიები ვინ და რატომ გაუქრო, ესაა საკვლევი...

– რა არის მწერლის მთავარი გამოწვევა? ძალიან მნიშვნელოვანია და მართლა ძალიან სჭირდებათ ბავშვებს ისეთი ნაწარმოებები, რომელშიც აისახება დღევანდელობის დამახასიათებელი ნიუანსები.

– უპირველესად, დღევანდელობის პრობლემატიკაა წიგნები მოზარდებზე, ომის თემა, ლტოლვილობის თემა, ემიგრაციის თემა, აგრესია, ჰუმანიზმი, თანალმობა, იდენტობის თემები, ქუჩა, პირველი სიყვარული, ჯარისკაცის ცხოვრება, პოლიციელი, საგმირო ამბები, თუნდაც ფოლკლორი, თუნდაც დღევანდელობა; ამბები ზაფხულის არდადეგებზე, მასისა და ინდივიდის მენტალობათა კონფლიქტი, პედაგოგისა და მოსწავლეთა ურთიერთობები, სოფლის ბავშვისა და ქალაქელი ბავშვის ურთიერთობები; ბუნებასთან ურთიერთობა, ეკოლოგიური საკითხები, ათასგვარი კონფლიქტი, რომლებზეც მოზარდები პასუხებს ეძებენ, თორემ პატარებისათვის უფრო ბევრი წერს – გვაქვს უხვად ლექსები, მაგრამ ნაკლებია პროზა, არადა ძალიან საჭიროა სათავგადასავლო წიგნები, ფანტასტიკა. მწერლებს ბევრი საქმე აქვთ, მით უფრო, თუ მეთოდურ ლიტერატურასაც გავითვალისწინებთ, მაგ., როგორ ვწეროთ 2, 3 ან 5 წლის ბავშვისთვის, როგორ ავუხსნათ რა ნაწილები აქვს სხეულზე, როგორ ჩნდება ბავშვი, რა ფერი არ არსებობს ქვეყნად და ა.შ და ა.შ.

– თქვენ ხართ „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის – ლიბოს“ ერთ-ერთი დამაარსებელი. ასევე თქვენი ინიციატივით დაარსდა „ქართული საბავშვო წიგნის დღე – 27 ოქტომბერი“. ძალიან ბევრ აქტივობას ახორციელებთ ქართული საბავშვო ლიტერატურის პოპულარიზებისა და განვითარებისთვის (აქ ყველას ვერ ჩამოვთვლი), როგორ მუშაობს ფონდი და რა გეგმები აქვს მომავლისთვის?

– ირმა მალაციძემ, ჩემმა მეგობარმა და მე დავაარსეთ ეს ფონდი, თუმცა, რაც გვიკეთებია, მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე. ალბათ მეტს გავაკეთებდით, ელემენტარული ხელშეწყობა რომ მოგვეპოვებინა. ჩვენთან ადამიანები მტკივნეულად განიცდიან ინიციატივებს და კოლეგებს ხანდახან აღიზიანებთ კიდეც შენი აქტიურობა. იმდენი რამაა გასაკეთებელი და ჩვენ კი უაზრო ამბიციებზე გვეხარჯება დრო. თუმცა, ფონდს ბევრი თანამოაზრე და კარგი მეგობარიც ჰყავს და იმედია, გავაგრძელებთ საქმიანობას. ფონდის კარი ყველასთვის ღიაა, მაგრამ, როგორც კი ფონდს ვახსენებთ, ზოგს ჰგონია, რომ ფულით შეგვიძლია მისი დახმარება ან მისი წიგნების გამოცემა. ჩვენ არ ვართ გამომცემლები, ურთულეს წლებში ბევრი რამ გავაკეთეთ ახალი და უცნობი თაობის გასამხნევებლად, მოტივაციების გასაზრდელად, გამომცემლებისა და ავტორების დასაახლოვებლად, თავად ქართველი ავტორების და ქართული საბავშვო წიგნის პოპულარიზაციისთვის. ახლა უკვე იმ უმძიმესმა პერიოდმა გაიარა და სხვა გამოწვევების წინაშე ვდგავართ.

– ამ აქტივობების გარდა, ძალიან ბევრი საყვარელი წიგნი აჩუქეთ პატარა მკითხველს. რთულია ბავშვებისთვის წერა მათთვის გასაგებ ენაზე?

– ჩემთვის ეს ბედნიერებაა. ვწუხვარ, რომ ამ საქმეს სათანადო დროს ვერ ვუთმობ, მაგრამ სულ მჯერა, რომ საუკეთესო ნაწარმოებები ჯერ დასაწერი მაქვს და აუცილებლად მოვიცლი ამისთვის, ეს იქნება არა მხოლოდ საბავშვო პოეზია, არამედ საბავშვო პროზაც.

– ბუნებრივია, გარკვეულწილად, შეხება გექნებათ სკოლასთან ან ბაღთან. რას ფიქრობთ, როგორ მოქალაქეებს ზრდის დღეს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა? და კიდევ, ეთანხმებით თუ არა ყბადაღებულ ფრაზას: „ეს თაობა წიგნს აღარ კითხულობს“. როგორ ფიქრობთ, სად უნდა ვეძებოთ ამის მიზეზი ან რა ღონე ვიხმაროთ, რომ ბავშვებმა, მოზარდებმა, ახალგაზრდებმა წიგნი იკითხონ?

– გარკვეულწილად მაქვს შეხება და სასტიკად არ მიყვარს ბავშვების დამუნათება. ჩვეულებრივად კარგი ბავშვები გვყავს, მაგრამ „უფროსები“ მაბრაზებენ მე პირადად. რით? იმით, რომ ჯერჯერობით მათთვის ვერ უზრუნველვყავით კარგი სახელმწიფოს აშენება! ბავშვებს აქვთ სათანადო ბიბლიოთეკები სკოლაში? ბავშვებს აქვთ კარგი პროგრამები? ბავშვებს ასწავლიან კარგად, კარგ ნაწარმოებებს? რა ვიცი, ალბათ, უკეთესად შეიძლება წარმართო მათი ცხოვრება და განათლება. მიწევს ხოლმე სტუმრობა სკოლებში და მძლავრობს ყალბი პათეტიკური ემოციები, დიქცია, არტისტიზმი. გამიხარდებოდა, რომ ბავშვებთან მომუშავე ყველა ადამიანს კარგი განათლება, გემოვნება, სწორი ღირებულებები და კარგი ხელფასები ჰქონდეს, მაგრამ ასე არაა და, საერთოდაც, ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პრობლემათა სათავე სწორედ გაუნათლებლობაში, ცრუ ჰუმანიზმსა და ცრუ ქრისტიანობაშია საძიებელი. ეს საოცარი აგრესიულობა, დაუნდობლობა, პოლიტიზირებული გემოვნება დამღუპველია, მაგრამ, რა ვქნათ, ამ წუმპედან ჯერ კიდევ რომ ვერ ამოვძვერით. რა ვქნათ, რომ არც მასწავლებლობას ადევს სათანადო პატივი და არც მოწაფეობას?! გვინდა თავისუფალი მოქალაქეების გაზრდა და ჩვენ თავად ვართ მონური აზროვნების. როგორ გავზრდით ნამდვილ ღირსეულ მოქალაქეებს, როცა ნახევარი ოჯახები ემიგრაციაშია წასული და ბევრი მშობლის გარეშე იზრდება? როცა ქვეყანაში ბევრია ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული უსახლკარო ადამიანი? ბევრი გასაჭირი ადგას დღეს ადამიანს, მუდმივ სტრესშია, ბევრს არსებობის შიში აქვს, მაგრამ რადგან მასწავლებლობას კიდებ ხელს, ყველაფერი უნდა გადადო და ბავშვს ისე ემსახურო, რომ მისმა გულმაც და გონებამაც სიკეთით აზროვნება შეძლოს. ეს უმთავრესია, ვიდრე უთავტანო ინფორმირებულობა და ერუდიცია. ფაქტები და მშრალი სტატისტიკა ადამიანს იმდენს ვერაფერს მისცემს, რასაც კარგი ლიტერატურა, მხოლოდ კარგი. დღეს ჩვენს სამყაროში რისი დეფიციტიც და პრობლემაც გაჩნდა, იმაზე ჩვენს წინაპარს უკვე ჰქონდა ნაფიქრი და ისეთი ფასეულობები ჩამოაყალიბა, რომ ადამიანმა იოლად შეძლოს სამყაროში ორიენტირება. ეს გზამკვლევი სწორედ ადამიანური სიკეთე, თანადგომა და ჰუმანიზმია რწმენასთან შეზავებული. ეს არც ჩვენს ბავშვებს აკლიათ და არც უნდა დავუკარგოთ. ყველა კარგი წიგნიც ხომ ამ ღირებულებებზეა აგებული, მთავარია, ბავშვებს მივაწოდოთ და ჩვევად ჩამოვუყალიბოთ წიგნიერებისადმი მიდრეკილება.

მართალია, თეორიულ მსჯელობას ჰგავს და ისიც ვიცი, რომ ოჯახის გარეშე მარტო სკოლა ვერაფერს იზამს, თუმცა მასწავლებელს ბევრი რამე შეუძლია გააკეთოს მოსწავლეებისთვის. ის მაინც, რომ აზროვნებას მიაჩვიოს, ზედაპირულობას განარიდოს... რა ღონე ვიხმაროთო, მეკითხებით. ინდივიდუალურია ეს „ღონე, ანუ ხერხები“: ვერ იტყვი, რა შეიძლება გახდეს ბავშვებში კითხვის მაპროვოცირებელი, მაგრამ ეს შეიძლება კომპლექსურადაც და ინდივიდუალურადაც. საოჯახო ცოცხალი მაგალითებიდან დაწყებული, როცა მშობელი კითხულობს, წიგნებია სახლში, ოჯახში წიგნებზე საუბრობენ, როცა შეყვარებული კითხულობს, მასწავლებელი რაღაც თემას გთავაზობს, კლასელები მსჯელობენ ან უბრალოდ უსაქმურობისას წიგნს გადაშლიან, რადგან არსებობენ ეს წიგნები მათ გვერდით ფიზიკურად და სულაც ინტერნეტში აღმოაჩენენ, რომ მოდაში შემოსულა ვთქვათ „ჰარი პოტერი“, „თამაში ჭვავის ყანაში“, „ნუ მოკლავ ჯაფარას“, ან „ფორთოხლის გოგონა“, ან სულაც „პატარა უფლისწული“ თუ „სამოსელი პირველი“, ან „ჯინსების თაობა“ და სხვა და სხვ. არსებობენ მთელი რიგი წიგნებისა, რომლებიც თითქოს რაღაცით მართლაც ჯინსებს გვანან – სულ მოსახერხებელი, სულ გვერდით, სულ სასიამოვნო, სულ შენი!

– როგორია საზოგადოება, რომელშიც ისურვებდით, რომ იცხოვრონ თქვენმა შვილებმა ან შვილიშვილებმა?

– თავისუფალი და ჰუმანისტი ადამიანების საზოგადოება, განათლებული, ღირსების მატარებელი, თანაბრად პატივისმცემელი კარგი ტრადიციებისა და სიახლეებისა, პატივისმცემელი ადამიანების! მოქალაქეების! დღევანდელი გადასახედიდან ეს უტოპიად მოჩანს, მაგრამ ასეთი საზოგადოების შექმნას, მით უფრო ამდენი კატაკლიზმების მერე, ფორმაციათა ცვლის მერე, ათასწლეულთა ცვლის მიჯნაზე, დრო სჭირდება. დე, იყოს მშვიდობა, რომ ჩვენ გვქონდეს დაფიქრების და გაანალიზების დრო. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ინდივიდუალისტები – აი, ამათ ბაზაზე და არა ზომბების მიერ აშენდება ასეთი საზოგადოება. მინდა ვისურვო, რომ ჩემს მომავალს ხეებს და ტყეებს არ უჩეხავდნენ, მიწას არ უბინძურებდნენ, არ უყიდდნენ, ჰქონდეთ ისეთივე სუფთა და მშვიდი საცხოვრისი, როგორი ლამაზიცაა მათი ქვეყანა. მინდა, ფორმას შინაარსი შეესაბამებოდეს. ჩვენ მართლა მიწიერი სამოთხე გვაქვს, მაგრამ ჯერ არავინ გვიშვებს მასში. სულ უფრო ვშორდებით მის გულს, რადგან არასწორად ვვითარდებით, ვაშავებთ ბევრ რამეს და ვერ ვირგებთ იმ უამრავ სიკეთეს და მადლს, რასაც ეს მიწა-წყალი უნდა გვაძლევდეს. ვსულსწრაფობთ და ვაშავებთ. მინდა შრომისმოყვარე ქართველების სახელმწიფო და არა ფულის შოვნისთვის მინის გამყიდველების და მძორის საკვებად და საწამლავის – წამლად გამსაღებლების ქვეყანა!

სტუმარი

**– ძალიან ბევრი ჯილდო გაქვთ მიღებული, არ ვიცი თქვენთვის რომელია უფრო ღირებული, მე კი ერთ-ერთი ჯილდოს გადმოცემის მომსწრე გავხდი ლიტერატურულ კონკურსზე „გალა“, პოეტური კრებულისთვის „თეთრი ხბორები“. კრებული მართლაც შთამბეჭდავია. თქვენი შემოქმედების კრიტიკოსად, ბუნებრივია, მე ვერ გამოვდგები, ამიტომაც მაია ჯალიაშვილის წერილიდან მოვიშველიებ ციტატას: *„თეთრი ხბორები“ მარიამ წიკლაურის პორტრეტია. ამ წიგნში წარმოჩნდება მისი სულიერი მისწრაფებანი, სამყაროსთან ურთიერთობის მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი გამოცდილებანი. ამ პოეზიაში თანაბრად ირეკლებიან ხილულნი და უხილავნი, სულიერნი და უსულონი, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ადამიანს სულს, გულსა და გონებას უშფოთებს, ამოძრავებს და აღძრავს სიცოცხლის მისტერიის შესაცნობად.*

მარიამის პოეზია სითბოთი და სიყვარულითაა სავსე, რაღაცნაირად ჩამყუდროებული, თანვე „ყოველი კედელი კარია“ (რალფ ემერსონი), რომლებსაც მკითხველი უსაღზვრო და ნათელი გულისა თუ სულის სივრცეში გაჰყავს სახეტიალოდ“.

და მაინც, როგორია თქვენი შემოქმედებითი პორტრეტი?

– აღმატებით მიხსენიებთ და უხერხულია, არ ვიტყოდი, რომ ბევრი ჯილდო მაქვს. ეს ჯილდოები არაა, ეს უბრალოდ შრომისა და შემოქმედების გზაზე პატარა დღესასწაულებია, პატარა სიურპრიზები, ფინანსური წახალისებებია. ჯილდო პოეტისთვის სხვა რამეს ჰქვია, არც პრემიას, არც კონკურსში გამარჯვებას, არამედ მკითხველის ნამდვილ აღიარებას, სიახლეების შემოტანას ლიტერატურაში, ახალი სათქმელის მიგნებას, ახალი გზის გაკვალვას. ეს კი საუკუნეში ერთეულთა ხვედრია. დრო განიჭებს პოეტს ჯილდოს, არდავიწყების ჯილდოს. ამაზე დე, მერე სხვებმა ილაპარაკონ, თუკი ამდენს შევძლებ, სალაპარაკოდ შევრჩე სიცოცხლეს, ან ლექსად შევრჩე, ან სიმღერად. შემოქმედ ადამიანს ხომ თვალი სულ მარადისობისკენ გაურბის...

– საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებსაც შევეხოთ. ახლაც მიმდინარეობს მწერლების აქტივობა – „ცოცხალ წიგნებთან“ შეხვედრა. რა მიზანს ისახავს ეს შეხვედრები, რომელსაც, თუ არ ვცდები, მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებთ?

– 61 მუნიციალიტეტში მოგვიწია შეხვედრების გამართვა პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ავტორებს. 75 მწერალი მონაწილეობდა ამ პროექტში, რომელიც 14 აპრილს დაიწყო და აგერ 9 ოქტომბერს დამთავრდა. მოვიარეთ მთელი საქართველო. სამწუხაროდ, ოკუპირებული ქვეყნის მოქალაქე ჯერ ვერ ვამბობ, მთელი საქართველო მოვიარე-მეთქი, მაგრამ კი გავიცანი უფრო ახლოდან ჩემივე სამშობლო და ხალხი. მადლიერი ვარ კულტურის სამინისტროსი, რომ პროექტი სრულად დააფინანსა და მწერლებს მოგვცა მკითხველებთან უშუალო შეხვედრის საშუალება, რომ გავედით დედაქალაქიდან და ჩვენი თვალით ვნახეთ, რაც ხდება, რა საჭიროებებია რაიონებში, რა უნდა ვაკეთოთ. პროექტის ხელმძღვანელი, კულტურის მინისტრის მრჩეველი, ქალბატონი ქეთი დუმბაძე და მინისტრი, ბატონი მიხეილ გიორგაძე გვპირდებიან, რომ ეს პროექტი სამომავლოდაც გაგრძელდება. ესაა ყველაზე საჭირო საქმე, რითაც მწერალიც და მკითხველიც დიდ სიხარულს განიცდის – წიგნის პოპულარიზაციას ვეწევით, ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს ვაცნობთ, ვაინტერესებთ ახალი ავტორებით, ლიტერატურული პერიოდიკა ჩაგვაქვს, ასევე, წიგნები და ა.შ. და მწერლები ამ საქმიანობაში გარკვეულ ჰონორარსაც იღებენ.

– დაბოლოს, ერთ-ერთ ლექსში ამბობთ, რომ „ხელახლაა ამოსათქმელი მთელი სამყარო“... როგორია ამ ერთ ფრაზაში მოქცეული თქვენი სამყარო?

– ჩემი სამყარო – ეს ყველაფერში გაცხადებული რწმუნებაა, რომ ადამიანი უფლისაა, რომ დიდ ომშია, რომ არ უნდა დაკარგოს იმედი და მხნეობა, სევდასთან ერთად სიხარულიც უნდა ედგას გულში, რომ ადამიანად დარჩეს ამ რთულ დროში. ბუნების და მთელი სამყაროს გადაშლილი წიგნი იკითხოს და იფიქროს, რისთვის მოვიდა ამქვეყნად? იქნებ სულაც თავისი წილი ბედნიერების საპოვნელად, თავისი კოსმოსის შესაქმნელად.

ესაუბრა
ლალი ჯელაძე

ინტერვიუ რექტორთან

უნივერსიტეტის წარმატებას სტუდენტების საჭიროებების ცოდნა განაპირობებს

რუბრიკის სტუმარია სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს რექტორი გია კავთელიშვილი

– ბატონო გია, გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ძირითადად, სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრავს, უმაღლესი სასწავლებლები დაინტერესებული არიან რაც შეიძლება მეტი სტუდენტი მიიღონ. როგორ ფიქრობთ, ხომ არ ხდება ეს ხარისხის ხარჯზე? მოგწონთ თუ არა დაფინანსების არსებული სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მოთხოვნებს განსაზღვრული ფინანსები. არსებობს თუ არა დაფინანსების სხვა გზა ან სხვა პრინციპი? თქვენთვის რომელი იქნებოდა სასურველი?

– საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში იყო პერიოდი, როდესაც კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასოცირდებოდა ორგანიზაციასთან, რომელიც ორიენტირებულია მაქსიმალურ მოგებასა და ყველა შესაძლო საშუალებით ხარჯის მინიმიზაციაზე. ვფიქრობ, ამჟამად ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა – მიმდინარე წელს, ერთიან ეროვნულ გამოცდებში 63 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობდა, რომელთა მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა, საერთო ჯამში, შეადგენდა 47 ათასს, ეროვნული გამოცდების შედეგებით კი მხოლოდ 28 ათასი აბიტურიენტი ჩაირიცხა.

სახეზეა შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტებში არსებული ადგილების რაოდენობა ბევრად მეტია აბიტურიენტთა რაოდენობაზე, ამიტომ აბიტურიენტი „რომელიმე უმაღლესში მოწყობაზე“ აღარ ფიქრობს, მას აქვს არჩევანის საშუალება და ამ არჩევანის გაკეთებისას, ის დაეყრდნობა იმას, თუ რა ინფრასტრუქტურას, სწავლების ხარისხს, სტუდენტური ცხოვრებისა და პიროვნული განვითარების შესაძლებლობას სთავაზობს უნივერსიტეტი.

ამ შემთხვევაში,სტუდენტის არჩევანი მიჯნავს წარმატებულ და ნაკლებად წარმატებულ დაწესებულებებს. წლევანდელი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს რომ დავუბრუნდეთ, მხოლოდ ორმა კერძო უნივერსიტეტმა ჩარიცხა 1000-ზე მეტი სტუდენტი, 38-მა დაწესებულებამ (უნივერსიტეტების საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი) – 200-ზე ნაკლები, ხოლო 28-მ – 100-ზე ნაკლები სტუდენტი. ჩემი აზრით, დღევანდელი ვითარება ცხადყოფს ზუსტად იმას, რომ უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების საჭიროებების ცოდნა და მათი გათვალისწინება განაპირობებს უნივერსიტეტის წარმატებას.

დაფინანსების სხვა გზების მოძიება საკმაოდ რთულია, ამიტომ უნივერსიტეტების აბსოლუტური უმეტესობა სწავლის საფასურით შედგენილ ბიუჯეტზეა დამოკიდებული. როგორც წესი, გრანტის ფარგლებშიც, აკადემიური თანამშრომლობის მსურველი ორგანიზაციებიც უპირატესობას სახელმწიფო უნივერსიტეტს ანიჭებენ. ამას ემატება საგანმანათლებლო კანონმდებლობის ხშირი ცვლილება, რომლის ფონზე ბევრს ვერ გაურკვევია, რომ კერძო ავტორიზებული და აკრედიტებული უნივერსიტეტი იმავე ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს და ისევეა აღიარებული, როგორც სახელმწიფო, ნახევარი საუკუნის ისტორიის მქონე უნივერსიტეტი.

უკეთესია, სტუდენტს, არჩევანის გაკეთებისას, ამ მიმართულებითაც ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია და არჩევანს მარტო სტატუსის გამო არ აკეთებდეს, პრინციპით – „მაინც სახელმწიფოა და იქ ჩავაბარებ“.

– აბიტურიენტების გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც მინიმალური ზღვარი გადალახეს, წელს უარი ეთქვათ უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე. მისაღებია თუ არა თქვენთვის ეს გადაწყვეტილება და ზოგადად, რა აზრის ხართ მეორად ჩარიცხვებზე? გასულ წლებში გყავდათ თუ არა მეორადი ჩარიცხვის სტუდენტები და რამდენად კომფორტული იყო მათი ჩართვა სასწავლო პროცესში?

– გასულ წლებში მეორადი ჩარიცხვის სტუდენტები არ გვყოლია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველთვის 100%-იანი შევსება გვქონდა ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი ჩარიცხვებით. მაგრამ, რაც არ უნდა არაკომფორტული იყოს მეორადი ჩარიცხვა სასწავლებლისთვის, მაინც პრიორიტეტად აბიტურიენტებისა და მათი ოჯახების ინტერესები მიმაჩნია.

ჩვენ გვქონდა ინიციატივა, დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე ჩაგვერიცხა ეს აბიტურიენტები, თუმცა სხვა უნივერსიტეტებმა ამ ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. ვადებთან მიმართებით არ ვფიქრობ, რომ დიდი პრობლემა იქნებოდა, თუნდაც წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე ან იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ, მართალია, სასწავლო პროცესი საქართველოს უნივერსიტეტებში სექტემბრის შუა რიცხვებიდან ან სექტემბრის ბოლოს იწყება, მაგრამ უნივერსიტეტები მაინც ელოდებიან სამინისტროდან მობილობის ჩარიცხვების დასრულებას, მაგისტრანტების ჩარიცხვას და ა.შ.

– გაქვთ თუ არა ურთიერთობა საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან. რომელ უნივერსიტეტებთან გაქვთ გაცვლითი და ერთობლივი, სტუდენტური, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამები?

– ბევრ საგანმანათლებლო პროექტზე ვმუშაობთ და სტუდენტებს ვთავაზობთ გაცვლით პროგრამებს ბალტიისპირეთის, პოლონეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ვცდილობთ, შედარებით ხელმისაწვდომი პროგრამები შევთავაზოთ და დავეხმაროთ დაფინანსების მოძიებაში. სტუდენტები დიდ ინტერესს იჩენენ ერთობლივი პროგრამების მიმართ. სამწუხაროდ, ბევრისთვის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი ენობრივი ბარიერია, სწორედ ამიტომ, ყველა სტუდენტს, 5 სემესტრის განმავლობაში, ვთავაზობთ სასურველი ევროპული ენის სწავლას და ვფიქრობთ, ეს პირველი აუცილებელი ნაბიჯია ჩვენი საუნივერსიტეტო განათლების რეალურად ინტერნაციონალიზაციისათვის.

– დღეისათვის ახალგაზრდების დასაქმება ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ხომ არ აქვს უნივერსიტეტს რაიმე პროგრამა ამ მიმართულებით საკუთარი კურსდამთავრებულებისათვის?

– სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო სეუ-ს აკადემიური ხედვის ჩამოყალიბებაში. უკვე დასაქმებულ სტუდენტებს საშუალებას ვაძლევთ, ისწავლონ საღამოს ჯგუფებში, რათა არც სასწავლო პროცესს ჩამორჩნენ და არც სამუშაოს შესრულებაში შეეშალოთ ხელი. გვაქვს დამსაქმებლებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც ამარაგებს სტუდენტებს ინფორმაციით ჩვენი პარტნიორების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ. ასევე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი ბიზნეს-ინკუბატორი – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ტურისტული სააგენტო, სადაც ყველა ჩვენი სტუდენტი რეალურ კლიენტებთან მუშაობს, სწავლობს შესაბამისი პროფილის კომპანიების საქმიანობას, რაც, თეორიულ ცოდნასთან ერთად, საშუალებას აძლევს, კონკურენტუნარიანი გახდეს დასაქმების ბაზარზე.

– სტუდენტები ხშირად გამოთქვამენ პრეტენზიას საჭირო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე არარსებობის გამო. არის თუ არა თქვენთან ეს პრობლემა და თუ ასეა, როგორ აგვარებთ?

– ეს საერთო პრობლემაა ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. საბაკალავრო საფეხურზე ძირითად ლიტერატურად არაქართულენოვან სახელმძღვანელოს ვერ გამოიყენებ. როგორც წესი, ლექტორი თავად ავსებს ქართულ მასალას უცხოური წყაროებიდან თარგმნილი კონსპექტით, ე.წ. „რიდერით“, რასაც ვუბეჭდავთ სტუდენტებს.

– რას გვეტყვით სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, აფინანსებს თუ არა უნივერსიტეტი მის საქმიანობას?

– ჩვენი თვითმმართველობა ყოველთვის აქტიურია, როგორც სტუდენტურ პროექტებში, ასევე სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში. სეუში ფუნქციონირებს სტუდენტური თეატრალური დასი, მუსიკალური ბენდი, სპორტული გუნდები და ა.შ.

სეუ-ს 7-კაცა რაგბის გუნდი წელს, ზედიზედ მეორედ, გახდა „ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ასოციაციის“ (EUSA) ეგიდით გამართული, 7-კაცა რაგბის „ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატის“ (European Universities Championships), ხოლო 2014 წელს – „ევროპის საუნივერსიტეტო თამაშების“ (European Universities Games) თასის მფლობელი და ჩემპიონი, ჯამში – 22 მატჩში 22 გამარჯვებით და რეიტინგით, ევროპის 7-კაცა რაგბში პირველი ადგილი.

უნივერსიტეტში ხშირად ტარდება სტუდენტური აქტივობები, ჩვენც ვაფინანსებთ თვითმმართველობის ყველა პროექტს.

– გვიამბეთ საუნივერსიტეტო ფონდის საქმიანობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში (წარმატებული სტუდენტების წახალისება, სოციალურად დაუცველთა დაფინანსება და ა.შ.).

– უნივერსიტეტში არსებობს ფინანსური შეღავათების სისტემა, რომელიც სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მაღალია სტუდენტის მიერ მიღებული ქულა თითოეულ საგანში, თითოეული სემესტრის განმავლობაში, მით უფრო ნაკლებია მის მიერ გადასახდელი სწავლის საფასური ან, სტიპენდიის სახით, უფრო მეტ თანხას (40-დან 400 ლარამდე თვეში) მიიღებს უნივერსიტეტისგან.

მოამზადა
მაკა ყიფიანმა

სასკოლო აქტივობა

მასწავლებელთა კონფერენცია

სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლა არაერთი ინოვაციური თუ კრეატიული ღონისძიებითაა გამორჩეული (დირექტორი – **ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა**). მისი ინიციატივით, ჩატარდა მასწავლებელთა სასკოლო კონფერენცია, რომელიც მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ეს დღე 1994 წლიდან აღინიშნება.

კონფერენციას ჰქონდა მიზანი, რომელიც მოიცავდა: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას, პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებასა და მასწავლებელთა პროფესიული და პედაგოგიურ-პრაქტიკული კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებას. კონფერენციის პრიორიტეტული საკითხები იყო: კლასის მართვა, ინტერაქტიული სწავლება, შეფასების მეთოდები, სასწავლო რესურსების შექმნა და გამოყენება, ინკლუზიური განათლება, სადამრიგებლო მუშაობა, მოსწავლეთა სამართლებრივი განათლება. მოსალოდნელი შედეგი – მიღებული გამოცდილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, თანამშრომლობის გზით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.

კონფერენციის ჩატარების შესახებ ელექტრონული ფორმატით ეცნობათ სკოლებს, შეირჩა მომხსენებლები, გამოიცა პროგრამა. მომხსენებლებისთვის, განათლების სამინისტროს შეფასების ცენტრთან შეთანხმებით, დამზადდა სერტიფიკატები.

კონფერენცია ორგანიზებულად ჩატარდა. სკოლის ფოიეში, წარჩინებული მოსწავლეები არეგისტრირებდნენ მომხსენებლებსა და მსმენელებს.

მასწავლებელთა სასკოლო კონფერენციით დაინტერესდნენ და მის მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ქუთაისის და რაიონის სხვადასხვა სკოლების პედაგოგებმა.

გვესტუმრა ქალაქის ხელმძღვანელობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **კონსტანტინე მამისეიშვილი**, გამგებლის მოადგილე **გენადი ბალანჩივაძე**, ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიური განყოფილების უფროსი **სერგო კირკიტაძე**, წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **მამუკა ჩხეტიანი**, ოტია იოსელიანის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე **დაჩი იოსელიანი**, ქუთაისის 37-ე სკოლის პედაგოგი, სამოქალაქო განათლების ტრენერი **ლალი უშვერიძე**, კერძო სკოლა „ოცნების“ დირექტორი **ირინა ცაავა**. კონფერენცია გახსნა სკოლის დირექტორმა **ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავამ**.

წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი თემები:

❖ სასწავლო პროექტი „ადამიანი და ბუნება“ – **დოდო ხაჩიძე, ნათელა ჭოლოკავა**;

❖ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – პროექტ-გაკვეთილი „გმირების ტრაგედია და ბრბოს ფსიქოლოგია“ – **დარეჯან ლაჭყეპიანი**;

❖ პროექტი „ენა დედაა ერისა“ – **ფაქიზო ფანჩულიძე**;

❖ შემაჯამებელი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკის შესახებ – **ოქროპირ სვანაძე**;

❖ მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში – **ქეთევან ჯიქია**;

❖ ტესტირების ანალიზი – **მანანა წულაია**;

❖ აუქციონი – სწავლების მეთოდი – **თამილა ჭოლაძე**;

❖ პროექტის მნიშვნელობა მოსწავლის განვითარების საქმეში, პროექტის „ჩვენ ვიმსახურებთ ადგილს ევროპულ ოჯახში“ მაგალითზე – **ფიქრია გიორხელიძე**;

❖ პროექტ-გაკვეთილი – ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა – **ლალი უშვერიძე**;

❖ დიდი წიგნის ერთობლივი კითხვის მეთოდი – **თეა ჭუმბურიძე**;

❖ G-PRIED-ის როლი სასწავლო რესურსების შექმნასა და გამოყენებაში – **ნინო წილოსანი**;

❖ ლექსიკური მარაგის გამდიდრების მეთოდები და აქტივობები დაწყებით კლასებში – **აზა ნაფეტვარიძე**.

გასახარია, რომ ჩანაფიქრი რეალობად იქცა და ჩვენი კონფერენცია შედგა. დამსწრე საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა კონფერენციის მსვლელობას. აღსანიშნავია ბატონ კონსტანტინე მამისეიშვილის ჩანაწერი, რომელიც მან სკოლის შთაბეჭდილებების წიგნში დატოვა. მას მიაჩნია, რომ ჩვენი სკოლა ერთ-ერთი წარმატებული სკოლაა არა მარტო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ ქვეყანაში.

კონფერენცია დასრულდა სკოლის ლიტერატურული სალონის „ოტიაური“ გამოსვლით (ხელმძღვანელი – **ოქროპირ სვანაძე**). წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „ადამიანისაგან რაც რჩება, მისი სიცოცხლეც ესაა“. შეიქმნა ამაღლებული განწყობა, სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული გოგო-ბიჭები, მათ ოტია იოსელიანის პოეზიის სამყაროში გვამოგზაურეს. მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს. განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა მწერლის შვილი დაჩი იოსელიანი, რომელიც ჩვენი სკოლის ხშირი და სასურველი სტუმარია.

მასწავლებელთა სასკოლო კონფერენცია კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ხელმძღვანელმა შექმნას სწავლასა და წარმატებაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო, სადაც დირექტორი და მასწავლებლები ერთი მიზნის გარშემო არიან გაერთიანებული.

დალი სილაგაძე
სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

ინფორმაცია

შესაბამისი სერვისები კოხლეარული იმპლანტის მქონე პირებისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით, მომავალი წლების მნიშვნელოვან პრიორიტეტად, კოხლეარული იმპლანტის მქონე პირთა განათლებისა და რეაბილიტაციის კუთხით, ეფექტური სერვისების დანერგვა განისაზღვრა.

აღნიშნულ საკითხზე სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროების, ნორვეგიის ადმინისტრაციის, აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის, ორგანიზაცია „კინდ-სმენის“, პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ წარმომადგენელთა და უცხოელ ექსპერტებთან უკვე გაიმართა, რაც მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება.

შეხვედრის შედეგად რამდენიმე არსებითი საკითხი გამოიკვეთა, რომლებიც რეაგირებას საჭიროებს: კერძოდ, მეტყველების თერაპევტების დაბალი კვალიფიკაცია და პროფესიონალების სიმცირე; მშობელთა განათლება და ინფორმირება კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის, ყოველდღიური ცხოვრების და განათლების მიღების საკითხებზე; ბილინგვური მიდგომა კოხლეარული იმპლანტის მქონე პირთა განათლების პროცესში; შესაბამისად აღჭურვილი კლასები; სწორი და თანმიმდევრული საინფორმაციო კამპანია კოხლეარული იმპლანტაციის მოსამზადებელ და შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით.

ნორვეგიელმა სპეციალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს კოხლეარული იმპლანტაციის ოპერაციამდელი და ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესის სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაზე, რასაც სასურველი შედეგის მიღწევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სპეციალისტების მხრიდან, ასევე, ფოკუსში მოექცა სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ადრეული იდენტიფიკაციის საკითხი, რათა იმპლანტაცია ადრეულ ასაკში განხორციელდეს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პირის იდენტიფიკაციისთანავე დაიგეგმოს სათანადო სერვისები სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის. ამასთან, კოხლეარული იმპლანტის მქონე მოსწავლეებისთვის სკოლებში შეიქმნას შესაბამისი გარემო.

შეხვედრის შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება, უმოკლეს ვადებში განხორციელდეს მეტყველების თერაპიის მიმართულებით სასწავლო პროგრამების განვითარება. ნორვეგიელი დონორის დახმარებით, პირველ ეტაპზე, აღიჭურვება რამდენიმე კლასი, სადაც განათლებას კოხლეარული იმპლანტის მქონე პირები იღებენ. გარდა ამისა, განხორციელდება კვალიფიციური საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება მშობლებისათვის.

რეაბილიტაციის კომპონენტის დახვეწასთან და მშობლების მხარდაჭერის სერვისების შექმნასთან დაკავშირებით, ინტენსიურად გაგრძელდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან აქტიური განხილვები.

ეკა დგებუაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოს უფროსი: *„განათლების სამინისტრო აქტიურად მუშაობს სმენადაქვეითებულ და სმენის არმქონე მოსწავლეების განათლებაზე. ერთ-ერთი მაგალითი გახლავთ 64-ე სკოლაში გახსნილი ინტეგრირებული კლასი სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის. დღეს, განათლების სამინისტროში, შედგა პირველი შეხვედრა, როდესაც მაგიდასთან ისხდნენ განათლების სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე, ის ადამიანები, რომლებიც კოხლეარულ იმპლანტს აკეთებენ და რეაბილიტაციას უწევენ იმ ბავშვებს, რომლებსაც იმპლანტები აქვთ. შესაბამისად, დავიწყეთ ფიქრი, როგორ მოხდეს ბავშვის განვითარება ადრეული ასაკიდან იმისათვის, რომ მან სათანადო ხარისხიანი განათლება მიიღოს.*

ჩვენი მიზანია, არსებული თანამშრომლობის საფუძველზე, განვავითაროთ როგორც მეტყველების თერაპია, ასევე სწავლების მეთოდოლოგია, ვიფიქროთ მშობელთა განათლებაზე. დღევანდელმა შეხვედრამ საშუალება მოგვცა, დაგვეგეგმა ის სამომავლო თანამშრომლობა და აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული მოსწავლის განათლებას“.

ეინარ კრისტიანსენი, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენელი: *„ამ ვიზიტის მთავარი მიზანია ინტეგრირებულ სკოლებზე ფოკუსირება, სადაც სმენის დარღვევის მქონე და სმენის არმქონე ბავშვები სწავლობენ. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ საჭირო აქტივობები, რათა ბავშვებმა საუკეთესო განათლება მიიღონ. გვჭირდება პროფესიონალი ადამიანების ჩართულობა როგორც ჯანდაცვის, ასევე განათლების სფეროებიდან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ამ საკითხებში პროფესიულ დონეზე ერკვეოდნენ მშობლები, რომლებიც პროცესის აქტიური მონაწილეები არიან.*

დღევანდელ შეხვედრაზე გამოვლინდა გამოწვევები, რაც ამ მიმართულებით გვაქვს, რაზეც იქნება გადატანილი ძირითადი აქცენტი ჩვენს შემდგომ მუშაობაში“.

ზურაბ გამგებელი, აუდიოლოგიის ცენტრის აუდიოლოგი: *„დღეს, განათლების სამინისტროში, საკმაოდ ნაყოფიერი და სასიამოვნო შეხვედრა შედგა ნორვეგიელ კოლეგებთან, რაც, ვიმედოვნებ, გარკვეულ შედეგს გამოიღებს ჩვენი პაციენტებისთვის – გაიზრდება დაფინანსება რეაბილიტაციის კუთხით, შეიცვლება მიდგომები.*

შეხვედრას მოწვეული სტუმრების სტატუსით ვესწრებოდით, როგორც აუდიოლოგიის ცენტრის და ჯაფარიძის კლინიკის წარმომადგენლები, სადაც კეთდება კოხლეარული იმპლანტაცია, ძირითადად, სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის. პროგრამას, მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს – არა მარტო იმპლანტის ღირებულებას, არამედ ოპერაციას და შემდგომ რეაბილიტაციას (წელიწადში ბავშვებს 100 გაკვეთილს უფინანსებს). მათთვის საინტერესო იყო ჩვენი ხედვა და შემდგომ პროექტში ჩართულობა ამ კუთხით. ვიმსჯელეთ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა მოგვარება აუცილებელია ამ სფეროს გასავითარებლად“.

პედაგოგთა დასახმარებლად

ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

რა არის შეკრება და გამოკლება

ერთობლიობათა გაერთიანება და თანაკვეთა

ვთქვათ, მოცემულია რამდენიმე ერთობლიობა ანუ სიმრავლე: E_1, E_2, E_3. მათი გაერთიანება ეწოდება ისეთ G ერთობლიობას, რომელიც შედგება ყველა E ერთობლიობის ყველა წევრისაგან.



E ერთობლიობათა თანაკვეთა კი ეწოდება ისეთ T ერთობლიობას, რომელიც შედგება ყველა E ერთობლიობის ყველა საერთო წევრისაგან, ე.ი. T ერთობლიობა არის ყველა E ერთობლიობის უდიდესი საერთო ნაწილი. ანუ ყოველი E მოიცავს T-ს, და თანაც T არის უდიდესი ამგვარი ერთობლიობა.



მაგ.: 3-ის ჯერადი რიცხვებია{3, 6, 9, 12, 15, 18, ... }.

შეხსენება. რაიმე *n* რიცხვს ეწოდება *k*-ს ჯერადი, თუკი *n* უნაშთოდ იყოფა *k*-ზე. ესე იგი: „ჯერადია“ – იგივეა, რაც „უნაშთოდ იყოფა“.

ასევე, 5-ის ჯერად რიცხვთა სიმრავლეა {5, 10, 15, 20, 25, 30, ... }. ხოლო 3-ის ჯერადების სიმრავლისა და 5-ის ჯერადების სიმრავლის თანაკვეთა არის ყველა იმ რიცხვთა ერთობლიობა, რომლებიც 3-ის ჯერადიცაა და თან 5-ის ჯერადიცაა. ეს ერთობლიობა კი იგივეა, რაც 15-ის ჯერად რიცხვთა ერთობლიობა (იხ. ვენის დიაგრამა).



მე-8^1 კლასის მასწავლებელთა ერთობლიობისა და მე-8^2 კლასის მასწავლებელთა ერთობლიობის თანაკვეთაა ყველა იმ მასწავლებელთა ერთობლიობა, რომლებიც ორივე ამ კლასს ასწავლიან.

ტოლფერდა სამკუთხედთა და მართკუთხა სამკუთხედთა სიმრავლეების თანაკვეთაა ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედთა ერთობლიობა (იხ. ვენის დიაგრამა).



ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედები

ასევე, მაგალითად: (დადებით) ლუწ რიცხვთა ერთობლიობისა და კენტ რიცხვთა ერთობლიობის გაერთიანებაა ნატურალურ რიცხვთა ერთობლიობა **N**; ქართული ხმოვნების ერთობლიობისა და ქართული ანბანის პირველი ხუთი ასოს გაერთიანებაა {ა, ე, ი, ო, უ, ბ, გ, დ}; ხოლო ამავე ორი ერთობლიობის თანაკვეთაა {ა, ე}.

ერთნიშნა რიცხვთა ერთობლიობისა და 20-ზე ნაკლებ ლუწ რიცხვთა ერთობლიობის გაერთიანებაა {0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 14, 16, 18}; ხოლო მათივე თანაკვეთაა {0, 2, 4, 6, 8}.

სკოლის ყველა კლასის გაერთიანებაა ამ სკოლის ყველა მოსწავლეთა ერთობლიობა.

თანაუკვეთი ერთობლიობანი

თუკი ორ ან რამდენიმე ერთობლიობას საერთო წევრი არა აქვს, მაშინ მათ თანაუკვეთი ერთობლიობანი ეწოდება. მაგალითად, ლუწ რიცხვთა ერთობლიობა და კენტ რიცხვთა ერთობლიობა თანაუკვეთი ერთობლიობებია, რადგანაც რიცხვი არ შეიძლება იყოს კენტიცა და ლუწიც ერთდროულად.

ქალების ერთობლიობა და ვაჟების ერთობლიობა – თანაუკვეთია; ხოლო ვაჟების ერთობლიობა და მზარეულთა ერთობლიობა (ვენის დიაგრამაზე – ელიფსი) არაა თანაუკვეთი, რადგან ზოგი მზარეული ვაჟია.



ასევე, ტეხილთა ერთობლიობა და მრუდთა ერთობლიობა თანაუკვეთი ერთობლიობებია, რადგანაც ხაზი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ტეხილიცა და მრუდიც.

თვითონ გეომეტრიული ნაკვთი და გეომეტრიული სხეული გეომეტრიულ წერტილთა სხვადასხვა სიმრავლეებია. ამ სიმრავლეთა თანაუკვეთობის გარკვევისას სიფრთხილეა საჭირო: შეიძლება მოხდეს, რომ ორი ნაკვთის შიგა არეები კი იყოს თანაუკვეთი, მაგრამ მათი საზღვრები არ იყოს თანაუკვეთი, ერთმანეთს ეხებოდეს. ამიტომ არც ნაკვთები იქნება თანაუკვეთი (იხ. ნახ.1). ასევე შეიძლება მოხდეს გეომეტრიულ სხეულთა შემთხვევაშიც (იხ. ნახ.2).

ნახ. 1



ნახ. 2

ამ ნახაზზე არცერთი წყვილი არაა თანაუკვეთი, არც ნაკვთებისა და არც სხეულებისა. ამრიგად, სხვაა შიგა არეთა თანაუკვეთობა და სხვაა თვით ნაკვთებისა თუ სხეულების თანაუკვეთობა.

შეკრება-გამოკლების მათემატიკური არსი

შეკრების მათემატიკური არსი – ესაა ორი თანაუკვეთი ერთობლიობის გაერთიანება. მაგ.: სამს უნდა მივუმატოთ ხუთი. ამისთვის უნდა გავაერთიანოთ რაიმე სამწევრიანი ერთობლიობა მასთან თანაუკვეთ ხუთწევრიან ერთობლიობასთან, შემდეგ კი დავთვალოთ წევრების რაოდენობა გაერთიანებაში. ამას ბავშვები კარგად აკეთებენ: აირჩევენ სამ თითს, მიუმატებენ სხვა ხუთ თითს და ნახავენ, სულ რამდენი თითი მიიღეს. თუკი ბავშვმა ჯამი გაერთიანებასთან არ დააკავშირა, ის ვერ ჩასწვდება შეკრების არსს და მოუწევს ჯამების მნიშვნელობათა უაზრო მექანიკური დაზეპირება. ამიტომ შეკრების თემა აუცილებლად ნივთების გროვების გაერთიანების სასწავლო ქმედებით უნდა დაიწყოს. მაგ. ამ სქემაზე თვალსაჩინოდ ჩანს, თუ რატომაა 3 + 5 = 8. პირველკლასელიც კი უცებ გადათვლის და ნახავს, რომ სულ რვა წრეა:



გამოკლება – ესაა შეკრების საპირისპირო მოქმედება. მისი არსია უცნობი შესაკრების გამოთვლა ჯამისა და მეორე შესაკრების მიხედვით. ესე იგი მოცემულ ერთობლიობას უნდა გამოვაკლოთ **მისივე წევრები** და არა სხვა ერთობლიობის წევრები! მაკლების შესაბამისი სიმრავლე საკლების ერთობლიობის **ქვესიმრავლეა** და არა სხვა სიმრავლე! ამიტომ მცდარია გამოკლების გათვალსაჩინოება საკლებისა და მაკლების შესაბამისი ცალ-ცალკე გროვებით. გამოკლებისას გროვის სახით მოცემული გვაქვს მხოლოდ საკლები, ხოლო მაკლები იმავე გროვაშია! ამიტომ მაკლების წარმოდგენა უმჯობესია სიტყვით ან ციფრით [იათამზე კოტეტიშვილი].



ამ სქემებზე თვალსაჩინოდ ჩანს, თუ რატომაა 8 – 5 = 3.

სხვათა შორის, ამას ზეპირი ანგარიშის კარგი ხერხიც უკავშირდება – შევსების ხერხი [დოდო ნაზირიშვილი]. იგი მოსახერხებელია, როცა საკლებსა და მაკლებს შორის განსხვავება შედარებით მცირეა. როგორ გამოვაკლოთ, მაგ., 394-ს 378? შევხედოთ ასე: რამდენი აკლია 378-ს 394-მდე? აკლია: 2 + 10 = 12, 12 + 4 = 16.

სწორედ ესაა სხვაობა!

შეკრება-გამოკლების სწავლების მეთოდიკის საკითხები

ისევე როგორც რაოდენობის შემთხვევაში, ტრადიციული მეთოდიკით სწავლების შედეგად მოსწავლე ვერ იაზრებს არითმეტიკულ მოქმედებათა არსს და მექანიკურად ასრულებს მათ. იმისათვის, რათა ეს არ მოხდეს, საჭიროა, რომ **მოქმედება დაყვანილ იქნეს თვლაზე**. ამ შემთხვევაში მოქმედება თვალსაჩინოც იქნება და თან მისი არსიც წარმოჩინდება.

გამოკლება უნდა დავიყვანოთ შეკრებაზე (იგი ხომ მისი საპირისპირო მოქმედებაა), ხოლო შეკრება უნდა დავიყვანოთ გადათვლაზე.

მთავარი ისაა, რომ პირველკლასელისათვის მთავარი თვალსაჩინოება უნდა იყოს არა სურათები, არამედ ნამდვილი ნივთები. პირველკლასელმა მათემატიკის შესწავლა უნდა დაიწყოს მოქმედებებით ნივთიერ, კონკრეტულ საგნებზე. წიგნი და სურათი კი უკვე განყენებაა. შესაძლოა, პირველი კლასის მათემატიკის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ესაა – სინამდვილიდან წიგნზე გადასვლისათვის მომზადება, სურათებსა და ნაწერებში ნამდვილი ვითარების დანახვის და მისი წარმოდგენის უნარ-ჩვევის განვითარება. ესაა მიზანი, მაგრამ მიზანი ვერ იქნება სწავლების საშუალება. ე.ი. I კლასში მოსწავლე წიგნითა და რვეულით ვერ ისწავლის. მთავარი უნდა იყოს საკლასო აქტივობანი ნივთებზე.

არითმეტიკულ მოქმედებათა შესწავლისას სურათებზე გამოსახული ვითარებანი ისედაც ძალიან ცუდი თვალსაჩინოებაა (მაგალითად, როცა ხატია სამი მჯდარი ჩიტი და ორი გაფრენილი და სხვ.). ამგვარი თვალსაჩინობანი ძალზე გავრცელებულია, მაგრამ ისინი არ ვარგა მოქმედებისა და მიმართების გასათვალსაჩინოებლად: მოქმედება მხოლოდ მოძრაობაში, დინამიკაში ხორციელდება, სურათი კი გაშეშებულია (გარდა კომპიუტერული თვალსაჩინოებისა) და მასში მოქმედების დანახვა ცალკე ამოცანაა! არითმეტიკული მოქმედების ნამდვილი გათვალსაჩინოება მხოლოდ ნივთებზე და მათ გროვებზე მოქმედებებით ხდება. ნახატზე გამოსახულ ვითარებაში მათემატიკური მოქმედების დანახვა კარგი გონებრივი ამოცანაა, მაგრამ ესაა კარგი ამოცანა და არა თვალსაჩინოება. მისი გამოყენება მხოლოდ მას შემდეგაა უპრიანი, რაც მოსწავლეებს უკვე კარგად ექნებათ შეთვისებული არითმეტიკული მოქმედებანი და გააზრებული ექნებათ მათი არსი (უპირატესად II კლასში).

პირველი მოქმედება შეკრებაა, მაგალითად, ***სამი*** + ***ხუთი.*** როგორც ვიცით, ***სამი*** – ესაა ყველა შესაძლო სამეულთა ერთობლიობა, მისი წარმომადგენელია რომელიმე სამეული, ხოლო ***ხუთისა*** – რომელიმე ხუთეული. ამიტომ ***სამი*** + ***ხუთი*** უნდა გათვალსაჩინოვდეს არა სურათებით, არამედ თითებით ანდა მამაპაპური ჩხირებით: სამი ჩხირი შევაერთოთ ხუთ ჩხირთან და დავთვალოთ მიღებული გროვა. სათვლელი ნივთები შეიძლება იყოს ღილები, კუბიკები, მაგნიტები... თანაც აუცილებელია მათი ცვლა, რათა მოსწავლის ცნობიერებაში შეკრება მაინცადამაინც ერთ-ერთ ნივთს არ მიეჯაჭვოს და ბოლოს მოსწავლემ ნივთებისგან განყენებაც შეძლოს.

კარგია შეერთებით მიღებული გროვის ერთად მოთავსება ნამდვილ ჯამში (შემდეგ საფეხურებზე – ჯამის სქემაში – ელიფსში, რომელიც „ვითომ ჯამია“). ეს გააადვილებს ჯამის ცნების გააზრებას.

შემდეგია გამოკლება. იგი არსებითად უფრო ძნელია, ვიდრე შეკრება, რადგან შეუძლებელია მაკლების ნივთიერი გათვალსაჩინოება. ამიტომ გამოკლების დროს გათვალსაჩინოებული უნდა იყოს მხოლოდ საკლები (მაგალითად, ***ექვსი*** წრის გროვა) და მისგან უნდა ავიღოთ, მას უნდა მოვაკლოთ ***ოთხი.*** ესეც მხოლოდ ნივთებზე მოქმედებით ჩანს.

შემდეგი საფეხურია იმის გააზრება, რომ გამოკლება შეკრების საპირისპირო მოქმედებაა (ამ ტერმინების გარეშე – მხოლოდ პრაქტიკულად). ეს ადვილად ჩანს იმავე გროვებზე. მაგალითად, ორ წრეს ისევ მივუმატოთ, ისევ დავუბრუნოთ ოთხი და ჯამში მივიღებთ ისევ ექვსს. შემდეგ საფეხურებზე ეს უკვე სქემაზეც ჩანს:

– რისი ტოლია სამს მივუმატოთ ხუთი? (მოსწავლე პირდაპირ ხედავს, რომ – რვისა).

– რისი ტოლია რვას გამოკლებული ხუთი? (ჯამში, ანუ ელიფსში ხელი დავაფაროთ ხუთეულს და პირდაპირ გამოჩნდება, რომ – სამისა).



ამგვარ სავარჯიშოთა შედეგად მოსწავლე თვითონ აღმოაჩენს შეკრება-გამოკლების საპირისპირობას.

ასეთნაირად დაიძლევა ჟ. პიაჟეს მიერ აღმოჩენილი თვისება ბავშვის აზროვნებისა – მას უჭირს შექცევადობის გააზრება და მასში ინვარიანტობის დანახვა: რაიმე მოქმედების ჩატარება და შემდეგ ამ მოქმედების საპირისპიროს ჩატარება რომ არაფერს არ ცვლის.

ამგვარი მეთოდიკით 6-ის ფარგლებში შეკრება-გამოკლებას ბავშვი ისე სწავლობს, რომ ჯერ არ დაუწყია ციფრების არათუ წერა, არამედ წაკითხვაც კი. მოქმედებები „დომინოსებრ“ რაოდენობებზე კეთდება. ეს იმეორებს კაცობრიობის განვითარების ბუნებრივ ისტორიულ გზას.

დასასრული
შემდეგ ნომერში

პედაგოგთა დასახმარებლად

ნონა ფიფია

სამოქალაქო განათლება

კვლევითი სწავლების მეთოდი

თანამედროვე პედაგოგიკაში ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სასწავლო-კვლევითი საქმიანობაა. სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებისას, პროექტზე მუშაობის დროს, სწორედ კვლევითი სწავლების კომპონენტია (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, არქივის გაცნობა, ფოტომასალების მოძიება და ა.შ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი. იგი ეფექტურია, როდესაც მიმართულია მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ – ახალი ცოდნის ძიება, შეძენა, რომელიც მას უვითარებს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარებს. ამის მიღწევა შესაძლებელია სწავლების ამ ინოვაციური მეთოდებით. ცნება „სწავლების მეთოდები“ მოიცავს: დიდაქტიკურ ძიებებს, სწავლის პროცესში განსახორციელებელი ეტაპების დროში განაწილებას, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობების ხასიათს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. სწავლების პროცესის კვლევითი მიმართულება ასევე გულისხმობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ანუ სწავლების პროცესი ბავშვის გამოცდილებაზეა აგებული. აღნიშნული სწავლების მოდელის ორიენტირი არა მარტო ახალი ცოდნის შეძენა, არამედ არსებული ცოდნის გადამუშავებაცაა. მასწავლებელმა დიალოგის, წარმოსახვის, მეტაფორების, ანალოგიებისა და სხვა ხერხების გამოყენებით უნდა წაახალისოს მოსწავლეები და ხელი შეუწყოს შემეცნებითი აზროვნების განვითარებას. ამგვარი სწავლების პროცესში მასწავლებელი ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს დამოუკიდებლად გადაჭრას დასახული პრობლემა. ამგვარი მიდგომით იზრდება მოსწავლის დამოუკიდებლად სწავლის ხარისხი – გამოყოფს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, იკვლევს მათ, აკეთებს არჩევანს და გამოაქვს დასკვნები, ავლებს პარალელს მონაცემებსა და დასკვნებს შორის.

კვლევითი სწავლების პროცესში სამი დონე გამოიყოფა:

❖ პირველ დონეზე პედაგოგი აყენებს შესასწავლი საკითხის პრობლემას და თავად უძღვება მისი გადაჭრის პროცესს;

❖ მეორე დონეზე პედაგოგი მხოლოდ გადასაჭრელ პრობლემას იყენებს, გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე მუშაობენ მოსწავლეები;

❖ მესამე, ყველაზე მაღალ დონეზე, მოსწავლეები აყენებენ პრობლემას და თავადვე ირჩევენ გადაჭრის გზებს.

კვლევითი, ძიებითი მიმართულება სასწავლო პროცესში დაკავშირებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასთან. კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე ბავშვის აღსაზრდელად მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას შემოქმედებითი სასწავლო გარემო: უნდა აღმოფხვრას შემოქმედებითი აზროვნების ხელისშემშლელი ყოველგვარი წინააღმდეგობა, წარმოაჩინოს სასწავლო პროცესის მონაწილეთა ძლიერი მხარე, შეძლოს მათი დარწმუნება საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და შეცდომებმა არ შეაშინოთ. მასწავლებელმა თავი უნდა შეიკავოს გამოთქმული აზრის შეფასებისაგან, დრო პრობლემის ირგვლივ თავისუფალ მსჯელობას დაუთმოს, ხელი შეუწყოს თავისუფალი წარმოსახვის (ფანტაზიის) გამოვლენას, რადგან იგი შემოქმედებითი აზროვნების საფუძველია. მოსწავლეებს ასევე უნდა მიეცეთ გონებრივი განტვირთვის საშუალება, წახალისდნენ მუშაობისათვის, მიეცეთ ახალი ძიებისა და ფიქრის შესაძლებლობები. მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობებისათვის საჭირო მიმართულების მიცემა, რომ მათ საკუთარი თავის, შესაძლებლობების რწმენა გაუჩნდეთ. ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები შეიძლება განხორციელდეს აზრების თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის, შემოქმედებითი დისკუსიების საშუალებით.

ინფორმაცია

კობა ხარაძე 75 წლისაა

ქართული გეოგრაფიული საზოგადოება დაბადების დღეს ულოცავს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელს, მთავარ მეცნიერს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორ **კობა ხარაძეს**.

ბატონი კობას პიროვნება შეიძლება ასე შეფასდეს: დაუღალავი მეცნიერი და მკვლევარი, შრომისმოყვარე, პუნქტუალური, გეოგრაფიული მეცნიერების გულშემატკივარი, კარგი ორგანიზატორი, სამართლიანი, თავმდაბალი ადამიანი.

წარმატებით მუშაობს ფიზიკურ გეოგრაფიაში, გეოგრაფიის ისტორიაში, ისტორიულ გეოგრაფიაში, ტურიზმში, კულტურის გეოგრაფიაში, სამხედრო და სამედიცინო გეოგრაფიაში, ონომასტიკაში. გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, მათ შორის, 40-მდე მონოგრაფიული გამოკვლევა, საშუალო სკოლის 2 და უმაღლესი სასწავლებლის 5 სახელმძღვანელო.

1991 წელს დაიბეჭდა მისი მონოგრაფია – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი“; 2010 წელს კი გამოვიდა წიგნი – „სამშვილდე“. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ძველი ტოპონიმიის კვლევა. 2013 წელს გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი – „უებრო ბუმბერაზი“.

მისი რედაქტორობით არაერთი რუკა, სახელმძღვანელო და მონოგრაფია გამოიცა; მონაწილეობს რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში; სოფლებში – ეკსა (სენაკის მუნიციპალიტეტი) და ძევერაში (გორის მუნიციპალიტეტი) შექმნა აკადემიკოსების – **თეოფანე დავითაიასა** და **ალექსანდრე ჯავახიშვილის** სახლ-მუზეუმები, გეოგრაფიის ინსტიტუტში კი – მემორიალური მუზეუმი და გამოსცა ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ნაშრომი.

მეცნიერებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის შეყვანილია ამერიკის ბიოგრაფიების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ენციკლოპედიაში. 2012 წელს, ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, „ქართველი მეცნიერების“ სერიით, გამოსცა მისი „ბიბლიოგრაფია“, რომელშიც თავმოყრილია მეცნიერის გამოქვეყნებული შრომები, ბიოგრაფიული მონაცემები და ლიტერატურა მის შესახებ.

ბატონი კობა მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების სასურველი სტუმარია. იგი ყურადღებით უსმენს ახალგაზრდა გეოგრაფებს, აძლევს სასარგებლო რჩევებს. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული სიახლოვე მე-2 საჯარო სკოლის ნორჩ გეოგრაფებთან, რომელთაც პროფესორ დავით უკლებას სახელობის გეოგრაფიის კაბინეტი დააარსეს. პროფესორი კობა ხარაძე მოსწავლეების წინაშე ხშირად გამოდის ლექცია-მოხსენებებით. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო კომპლექსური ექსკურსია ქვემო ქართლში, დევიზით – წინაპართა ნაკვალევზე, მარშრუტით – თბილისი-ტანძია. შესწავლილი იქნა მხარის ბუნება, ხუროთმოძღვრული ძეგლები. ახალგაზრდები კიდევ უფრო ახლოს გაეცნენ ვახუშტი ბაგრატიონის, სულხან-საბა ორბელიანის, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას. მიღებული შთაბეჭდილებები დიდხანს ემახსოვრებათ მოსწავლეებს.

ვუსურვოთ პროფესორ კობა ხარაძეს დიდი ხნის ჯანმრთელი სიცოცხლე, რათა მეტი წვლილი შეიტანოს ქართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში.

კუკური წიქარიშვილი
მე-2 საჯარო სკოლის გეოგრაფიის უფროსი მასწავლებელი, გეოგრაფიის დოქტორი, რ. დანიბეგაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

იუბილე

„აისი“ 35 წლისაა

კაჭრეთის საზოგადოებრივ კოლეჯში „აისი“ 35 წლის იუბილე აღინიშნა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, ხელოვნების დარგის ცნობილი სახეები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ღონისძიების ფარგლებში, მათ სტუდენტების მიერ შესრულებული თექის ნამუშევრები, ცნობილი მხატვრების, ხატმწერებისა და ფოტოხელოვანების ნამუშევრები დაათვალიერეს და რთველში მიიღეს მონაწილეობა.

საიუბილეო დღის აღსანიშნავად, პროფესიულ განათლებაში სახელოვნებო დარგების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, კოლეჯში ილია ჭავჭავაძის სახელობის ხელოვნების სასახლე გაიხსნა.

ხელოვნების სასახლე მოემსახურება არა მხოლოდ კოლეჯ „აისის“ სახელოვნებო მიმართულებების სტუდენტების სწავლა-განათლებას, იქ მოეწყობა ხელოვნების წარმომადგენელთა შემოქმედებითი კუთხეები, გაიმართება კონკურსები, დაიგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები და საინტერესო შეხვედრები, რაც პროფესიულ განათლებას კიდევ უფრო პერსპექტიულს გახდის და ხელს შეუწყობს მის პოპულარიზაციას.

მრავალპროფილიან კოლეჯში „აისი“ 600-მდე სტუდენტი 20-ზე მეტ პროფესიას ეუფლება, მათ შორისაა სახელოვნებო დარგები – მემინანქრე, თექის ხელოსანი და დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი. ხელოვნების სასახლის დაარსებით, კოლეჯის ადმინისტრაცია ახალი სახელოვნებო პროგრამების დანერგვასაც გეგმავს.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„35 წელიწადია პროფესიული სასწავლებელი „აისი“, კაჭრეთში, პროფესიულ განათლებას ემსახურება და ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, დაეუფლოს მისთვის სასურველ პროფესიას. ძალიან დიდი სამუშაოა ჩატარებული ამ სასწავლებელში. პრაქტიკულად, სრულად არის ადაპტირებული გარემო, ხორციელდება ინკლუზიური განათლება, გადაიხედა სტანდარტები, ინერგება ევროპული სტანდარტის შესაბამისი მოდულური პროგრამები. გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვითარდება პროფესიული განათლება ხელოვნების მიმართულებითაც. ამ რეგიონში არ უნდა დაიკარგოს ისეთი ხელობა, რომელიც დაკავშირებულია, თუნდაც ძაფების ბუნებრივ ღებვასთან, თექის დამუშავებასთან და სხვ. ეს ისეთი პროფესიებია, რომელთა დაუფლების შედეგად, სტუდენტს შეუძლია დასაქმდეს ან საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა წამოიწყოს და იყოს სრულად რეალიზებული ცხოვრებაში.*

გარდა ამისა, პროფესიულ სასწავლებელს ჰყავს ძალიან ბევრი ხელოვანი მეგობარი, რომლებიც დღეს სასწავლებელში იმისათვის მოვიდნენ, რომ კიდევ ერთხელ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ და წაახალისონ ჩვენი ახალგაზრდობა, რომ მათ არჩევანი პროფესიული განათლების სასარგებლოდ გააკეთონ“.

ნათელა პაპუნაშვილი, საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ დირექტორი: *„ჩვენს კოლეჯში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახელობის ხელოვნების სასახლე და, ამავე დროს, ქვევრის მუზეუმი. ხელოვნების სასახლე მოემსახურება სახელოვნებო პროფესიებს, რაც სიახლეა კოლეჯ „აისში“ და, ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შესძენს და მეტ პერსპექტივებს დაუსახავს პროფესიულ განათლებას“.*

ინფორმაცია

ნიკალა ჩემი შთაგონების წყაროა

ღვინობისთვის შუა რიცხვებში, სოფელ მირზაანში, ტრადიციულად, სახალხო დღესასწაული „ფიროსმანობა“ გაიმართა. უამრავ სტუმარს – აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს, მხატვრებს, პოეტებს გულთბილი მასპინძლობა გაუწია კახეთის გუბერნატორმა **ირაკლი შიოლაშვილმა**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** და ფიროსმანის სახლ-მუზეუმის მმართველმა **ანზორ მაძღარაშვილმა**, რომლის ინიციატივით და ძალისხმევით 1972 წლიდან აღინიშნება ეს დღესასწაული.

სადღესასწაულო პროგრამამ გულუხვი ოვაციების თანხლებით ჩაიარა. სპეციალურად მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. წარმოდგენილი იქნა, პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით, ნაწყვეტები სპექტაკლიდან „ფიროსმანი“, რომლის პრემიერაც 26 ივნისს გაიმართა დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში. რეჟისორი გახლდათ კულტურის სახლის დირექტორი **ცარო მარტიაშვილი**, რომელიც ამ დღესასწაულზე წამყვანის ამპლუაშიც მოგვევლინა.

ნიკალას ეზო-გარემოში შეხვდებოდით მის ტილოებზე მოსწავლეების მიერ გაცოცხლებულ პერსონაჟებს: მეთევზეს, მეეზოვეს, გოგონას ბუშტით, თავადებს, ყარაჩოღელებს და სხვ. იქვე იყო გამოფენილი ნორჩი მხატვრების ნამუშევრები.

ხალხმრავლობა იყო ნიკო ფიროსმანის მუზეუმში. დამთვალიერებლებს შორის ბევრი ცნობილი სახე გახლდათ. კომენტარი ვთხოვე პოეტ **თემურ ჩალაბაშვილს**, რომელსაც ამ დღეებში სიღნაღის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა, – *„ნიკალა ჩემი შთაგონების წყაროა... მისი შემოქმედება ყველაზე სანდო, მყუდრო და ნათელია. ნიკალამ შეძლო ჩვენი პატარა ქვეყნის საზღვარგარეთ განსაკუთრებული კუთხით წარმოჩენა“.*

სახალხო ღესასწაულის და ბარაქიანი შემოდგომის შთამბეჭდავ განწყობილებას გიქმნიდათ თონეში ახალგამომცხვარი შოთის პურის, შამფურზე აგებული მწვადის, სპილენძის ქვაბში მოდუღებული ბადაგის, ახალგავლებული ჩურჩხელის და ცნობილი მეღვინის, „მეტრის“ ნომინანტის, **გოდერძი გონაშვილის** მიერ ჩამოსხმული კახური ღვინის სურნელი.

მარიკა პოპიაშვილი

ჩემი საუკეთესო მოგონება

სამტრედიის №3 საჯარო სკოლა წელს იუბილარია. 50 წლის განმავლობაში, მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საგანმანათლებლო სივრცეში. სკოლის პირველმა დირექტორმა **დავით გახოკიძემ** და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელმა **დავით ჩხეიძემ**, პიროვნული თვისებებითა და პროფესიული თვალსაზრისით გამორჩეულმა ადამიანებმა, მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს დღეს უკვე ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლო დაწესებულებას. მომდევნო წლებში, ეს ტრადიცია ახალგაზრდა, ნიჭიერი, ენერგიული და საქმის მცოდნე დირექტორის, **სულიკო ნინუას** ხელმძღვანელობით გაგრძელდა.

მე ამ სკოლის პირველი პიონერხელმძღვანელი გახლდით. ჩვენ, მაშინდელ ახალგაზრდა პედაგოგებს (**მაგული ნიკოლეიშვილი, რომან ბექაია, გიული ქორიძე, გულიზა ჯიმშელეიშვილი**), ძალიან გაგვიმართლა, რომ ისეთი პროფესიონალების გვერდით მოგვიწია პირველი ნაბიჯების გადადგმა, როგორებიც იყვნენ: **მავრა ლორთქიფანიძე, ტატიანა ჭანჭალეიშვილი, თამარ ხაჟალია, ქეთევან მელქაძე, ეთერ ქუთათელაძე, ვენერა ჯამბურია, ეშხა** და **ვენერა გულდედავები, თინა ყუფარაძე, შურა ჭუბაბრია, თამარ ახობაძე, დოდოშა კიკაჩეიშვილი, ციალა მაღლაკელიძე, ციალა ნიკურაძე, ციმა ვაშაკიძე, სერგო ერქვანიძე, ჟორა კოპალეიშვილი, ომარ ნიკოლეიშვილი, ალექსანდრე ვაშაკიძე, გურამ სიხარულიძე, თეო ხუნდაძე** და სხვ. ბევრი სასიკეთო რამ დღემდე მომყვება იმ პერიოდიდან, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ მათი და მეამაყება, რომ მეც მე-3 სკოლელი ვარ.

იუბილეს დღეებმა დამარწმუნა, რომ სკოლა საუკეთესო ტრადიციების ერთგულია. ის საინტერესო, მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი საღამოც პედკოლექტივის ერთსულოვნების შედეგია, რომელსაც დღეს ქალბატონი **ვენერა ივანიშვილი** ხელმძღვანელობს. ბედნიერი ვარ, რომ, სხვებთან ერთად, საიუბილეო ზეიმის მონაწილე ვიყავი. ეს დღე საუკეთესო მოგონებად გამყვება ჩემი ცხოვრების გზაზე.

ვუსურვებ მშობლიურ მე-3 სკოლას, კიდევ ბევრი სასახელო თაობა აღეზარდოს და საუკუნოვანი იუბილეც ეზეიმოს.

ლამზირა მელქაძე
თბილისის სამგორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება

აჭარის რეგიონის საჯარო სკოლების 224-მა მეათეკლასელმა მინისტრისგან საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი მიიღო. თამარ სანიკიძემ კომპიუტერებით ის მოსწავლეები დაასაჩუქრა, რომლებმაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს.

მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის მიზნით, პროექტი წარმატებით ხორციელდება წლების განმავლობაში და, ყოველწლიურად, იზრდება დაჯილდოებულ მოსწავლეთა რიცხვიც. როგორც ყველა რეგიონში, გასულ წელთან შედარებით, წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა აჭარაშიც გაზრდილია, რაც ცხადყოფს, რომ პროგრამა წარმატებულია და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა წახალისებასა და მოტივაციის ამაღლებას.

2015 წელს პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც 2014-2015 სასწავლო წელს საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე).

საქართველოს მასშტაბით, წელს, კომპიუტერებით სულ 1970 წარმატებული მოსწავლე დაჯილდოვდება.

თამარ სანიკიძე: *„2013 წლიდან, დაახლოებით, 1400 მოსწავლით დავიწყეთ, დღეს 1970 მოსწავლე გვყავს, რაც ძალიან სასიხარულოა. ჩვენს ახალგაზრდებს მრავალმხრივ სჭირდებათ ხელშეწყობა, რომ მათი მოტივაცია არ დაეცეს და კიდევ მეტი შემართებით გააგრძელონ სწავლა.*

მნიშვნელოვანია, რომ დღეს, საქართველოს მასშტაბით, დავიწყეთ მოსწავლეების დაჯილდოება. ვულოცავ მათ, ასევე, მათ მშობლებს და პედაგოგებს. მათი წარმატება ძირითადად, რა თქმა უნდა, პედაგოგების დამსახურებაა. ვუსურვებ, რომ ეს მათი შემდგომი წარმატების დასაწყისი ყოფილიყოს“.

ნინო შავაძე, მოსწავლე: *„აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი დღით. გახარებული ვარ, რომ დამიფასდა შრომა. წარმატებას ვუსურვებ სხვა მოსწავლეებს, ვულოცავ დღევანდელ დღეს და მოვუწოდებ, ისწავლონ უკეთ და ისეთივე გახარებულები იყვნენ, როგორც მე ვარ დღეს“.*

რაულ დიასამიძე, მოსწავლე: *„ძალიან ბედნიერი დღეა ჩემთვის. მინდა, მივულოცო ყველა მოსწავლეს და მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც ამ აქციის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა, ასევე მადლობა მინდა გადავუხადო მასწავლებლებს. ჩემთვის ეს დიდი მოტივაციაა. ვიმედოვნებ, რომ ჩემი სწავლით უფრო წინ წავალ და ახალ მწვერვალებს დავიპყრობ“.*

იურისტის კონსულტაცია

გთავაზობთ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურიდიული დეპარტამენტის პასუხებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბლაციხის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლის ხათუნა სერებრიაკოვას შეკითხვებზე.

რა შემთხვევაშია შესაძლებელი კლას-კომპლექტის შექმნა?

გაცნობებთ, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილების შესვლის შემდგომ, რომელიც განხორციელდა 2015 წლის 8 სექტემბერს, კლას-კომპლექტის შექმნა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ კლასების შეერთებით მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 10-ს. ძველი ნორმის თანახმად კი, კლას-კომპლექტის შექმნა დასაშვები იყო იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატებოდა 15-ს. ვფიქრობთ, ამ ცვლილებამ გააუმჯობესა პედაგოგთა მდგომარეობა.

ამასთან, კლას-კომპლექტის შექმნის შემთხვევაში რეკომენდებულია, ის შეიქმნას ერთი საფეხურის ფარგლებში და ერთ კლას-კომპლექტში არ გაერთიანდეს ორ კლასზე მეტი. I-IV კლასები შეიძლება დაკომპლექტდეს სხვადასხვა პრინციპით (მაგ.: I-II და III-IV პრინციპით, ან I-III და II-IV პრინციპით). სპორტის, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილებზე, შესაძლებელია, გაერთიანდეს რამდენიმე კლასი (მაგ. I, II და III; IV,V და VI; VII, VIII და IX და ა.შ.).

როგორ უნდა ჩატარდეს უცხო ენის გაკვეთილი კლას-კომპლექტში – შეერთებულად თუ ცალ-ცალკე?

უცხო ენის გაკვეთილი კლას-კომპლექტში შეერთებულად შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ კლასების შეერთების შედეგად ორივე კლასის მოსწავლეები ერთი და იმავე უცხო ენას სწავლობენ. ხოლო, თუ სწავლობენ განსხვავებულ უცხო ენებს, მაშინ თითოეული კლასის მოსწავლეს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი კლასისთვის/საგნისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საათების რაოდენობა (ეროვნული სასწავლო გეგმის მე-4 მუხლის მე-13 მუხლი).

აქვს თუ არა უფლება პრესის ჟურნალისტს ატარებდეს ინგლისური ენის გაკვეთილებს?

ნებისმიერი პროფესიის პირს აქვს უფლება იმუშაოს მასწავლებლად, შეთავსებით, მათ შორის ჟურნალისტსაც, თუ დიპლომის მიხედვით აქვს მასწავლებლობის უფლება.

ინგლისური ენის გაკვეთილის ჩატარებისთვის ჟურნალისტი ან ნებისმიერი სხვა პირი უნდა აკმაყოფილებდეს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს:

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის პედაგოგს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. სხვა შემთხვევაში, უნდა მოიპოვოს მასწავლებლობის უფლება.

ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისთვის შესაძლებელია მასწავლებლობის უფლების მოპოვება, თუ მიღებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი. მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად ვალდებული არიან, წარმატებით გაიარონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად, გარდა საკვალიფიკაციო მოთხოვნისა, განისაზღვრება შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარება.

ინფორმაცია

- სკოლა აღჭურვილია ახალი ინვენტარით და ტექნიკით;
- მოეწყო სკოლის ეზო;
- სკოლის შენობა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის;
- სკოლას ემსახურება სასკოლო ავტობუსი.

იაკობ გოგებაშვილის იუბილე აღინიშნა

მწერალთა კავშირის ინიციატივით, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წლისთავი აღინიშნა.

თამარ სანიკიძე: *„დიდი ქართველი მოღვაწის, ჩვენი საყვარელი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის 175 წლის იუბილეა, ამიტომ მაქსიმალურად შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ მის მეთოდებს, ჩადებულ ენერგიას და წარმატებას დღესაც აქვს ლოგიკური გაგრძელება“.*

დიმიტრი ხვთისიაშვილი, მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: *„მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში იაკობ გოგებაშვილს ფასდაუდებელი წვლილი აქვს შეტანილი და მისი საიუბილეო საღამო, სად თუ არა, მოზარდ მაყურებელთა თეატრში უნდა გამართულიყო. ამიტომაც სიამოვნებით ვმასპინძლობთ დღეს უდიდესი ქართველი მწერლის საღამოს.“*

საიუბილეო საღამოზე ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა გოგებაშვილის ღვაწლის შესახებ ისაუბრეს. საბავშვო თეატრალურმა დასმა, **ნიკოლოზ საბაშვილის** რეჟისორობით, „იავნანამ რა ჰქმნას?!“ მიხედვით, ქართულ მოტივებზე აგებული სპექტაკლი წარმოადგინა.

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

განახლებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

განახლებული

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი



მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევადისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

სიახლე

წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი – 7,30 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. სოფლური ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტაქნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲮᲣᲗᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ

ახლახან ქართველმა მკითხველმა მიიღო აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლის, განათლების დამსახურებული მუშაკის, ბატონი **ვახტანგ გასვიანის** წიგნი – **„მოგზაურობა ხალდედან ხალდეში“**.

წინამდებარე მონოგრაფიაში გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის ულამაზესი მხარის, სვანეთის, აჯანყება მეფის რუსეთის წინააღმდეგ 1875-1876 წლებში და მისი ბოლო ეტაპი, სოფელ ხალდეს გმირული ეპოპეა. წიგნი ეძღვნება ამ მოვლენის 140 წლისთავს.

წიგნში სოფელ ხალდეს ისტორია განხილულია იმ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს, ამასთანავე სვანეთის სოციალურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მე-19, მე-20 საუკუნეებში და 21-ე საუკუნის დასაწყისში.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის სახელწოდება ნათლად ასახავს მის შინაარსს. ეს ნამდვილად გახლავთ მოგზაურობა დროში. ნაშრომში, სოფელ ხალდეს მაგალითზე, აღწერილია საკუთარ სამშობლოში, სხვადასხვა პერიოდში, ოთხჯერ აყრილი ხალდელთა ხუთი თაობის ცხოვრების გზა. ეს ისტორიული, მხატვრულ-პუბლიცისტური ნაშრომი ასევე შეიცავს ეთნოგრაფიული და ბიოგრაფიული ხასიათის საინტერესო მასალას.

ჩვენი მიზანი არ არის დეტალურად შევეხოთ ამ მონოგრაფიის შინაარსს. შევჩერდებით ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე. წიგნის პირველ ნაწილში ავტორს დამაჯერებლად აქვს გაშუქებული თავისუფალი სვანეთის მოსახლეობის მეტად ფრთხილი, გააზრებული და ღირსეული დამოკიდებულება რუსეთის მფარველობის მიღებისადმი.

მასში ძალიან უარყოფითადაა დახასიათებული რუსული ცარიზმი და მის სამსახურში ჩამდგარი ზოგიერთი ქართველი მოხელე. ავტორი ამაღლებულად წერს სვანებზე, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხზე, ცალკეულ პიროვნებებზე, რომლებმაც თავი შესწირეს სოფელ ხალდეში დატრიალებულ მოვლენებს. კარგად არის დახასიათებული ამ ამბების თვითმხილველი და მემატიანე, სვანეთის დიდი მკვლევარი და ეთნოგრაფი ბესარიონ ნიჟარაძე. სიმპატიით განაწყობს მკითხველს სამხედრო ექსპედიციის ექიმ ვ. ბელსკისადმი, რომელიც აჯანყებულებს თანაუგრძნობდა.

ავტორის სიტყვებით: *„ხელისუფლებამ სვანეთის აჯანყების მოთავედ 16 ადამიანი დაასახელა, რაც ამ ვაჟკაცების სულიერი სიმტკიცის და სიძლიერის, ხალხის ინტერესებისადმი, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადების აღიარებაა“*. შემდეგ ის წერს: *„არც თუ დიდი ხნის წინ ხელში ჩამოვარდა ხალდეს აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესზე გადაღებული ფოტო. ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ამ ადამიანთა განუმეორებელი სახეები. ყველა თავმოყვარე ერის შვილი ინატრებდა ასეთ გმირებს“*.

წიგნში პირველად ქვეყნდება, სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ, ოცდათერთმეტ ხალდელზე გამოტანილი განაჩენის ფოტოასლი რუსულ ენაზე, რომელიც ავტორმა საქართველოს საისტორიო არქივში მოიპოვა.

მე, აფხაზეთში მცხოვრებმა ერთ-ერთმა რიგითმა ქართველმა, წიგნი უცრემლოდ ვერ წავიკითხე. 2007 წელს, სტუდენტთა ექსპედიციის ხელმძღვანელობისას მულახში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის სილიბისტრო ნავერიანის ოჯახში, დამსახურებულმა პედაგოგმა ციცინო ჟორჟოლიანმა-ნავერიანისა ჩაგვაწერინა ხალდეს აჯანყების ერთ-ერთი მონაწილის – 110 წლის ნასყიდა გასვიანის ლექსი „სიმღერით ეწირებოდნენ თავისუფლებას“, რომელსაც აჯანყების მონაწილენი, ციხეში, განაჩენის მოლოდინში მყოფნი, მღეროდნენ. ამ ჩანაწერმა მაშინ ექსპედიციის მონაწილე ყველა სტუდენტზე, ბუნებრივია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სიმბოლურია ისიც, რომ ვახტანგ გასვიანის „მოგზაურობა ხალდედან ხალდეში“ სწორედ ნასყიდა გასვიანის ამ ლექსით მთავრდება და იწყება ხალდელთა მესამე თაობის წარმომადგენლის, გასავ (აკაკი) გასვიანის ლექსით „ბალადა ხალდეზე“.

წიგნის მეორე ნაწილში – „ხალდეში ცხოვრება გრძელდება“ – ავტორი დიდი სიყვარულით წერს იმ ადამიანებზე, რომლებმაც სოფელი ხელმეორედ ააღორძინეს, რის შედეგადაც მან ღირსეული ადგილი დაიკავა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა, რომ საბჭოთა იმპერიის დროს, სოფლის ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო მეორე ნაწილი აფხაზეთში დასახლდა. წიგნში ხალდელების გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში ცხოვრების მთელი პერიპეტიებია გადმოცემული როგორც საბჭოთა პერიოდის მშვიდობიანი თანაცხოვრების სირთულეებით, ასევე კონფლიქტისდროინდელი მძიმე დღეების ტრაგედიებით, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცევის ქრონიკებით, ასევე დევნილობაში 20-წლიანი ცხოვრების გაუსაძლისობით, უიმედობით.

წიგნის ავტორმა დიდი საშვილიშვილო საქმე გააკეთა. ის აღწერს ოთხივე ხალდეური გვარის – გასვიანი, ჯოხაძე, ჩეგიანი, ჩოფლიანი – შთამომავალთა გენეალოგიას, იოტისოდენა წვლილსაც კი არ უკარგავს არავის. განსაკუთრებული მოწონებით საუბრობს ხალდელ მანდილოსნებზე, გადმოგვცემს რა მათ კდემამოსილებას, სათნოებას, შრომისმოყვარეობას, გამძლეობას.

ვახტანგ გასვიანის წიგნი „მოგზაურობა ხალდედან ხალდეში“ ხასიათდება მიუკერძოებელი აღწერით. ის საცნობარო ხასიათსაც ატარებს. წიგნის ღირებულებას უდავოდ ზრდის ავტორის წერის მანერა, მკაფიო და დახვეწილი, პოეტურთან მიახლოებული აკადემიური სტილი, შეჯერებული ლოგიკური, არგუმენტირებული მსჯელობებით გაკეთებული დასკვნებით. ინტერესით წაიკითხავს სხვადასხვა დარგის, ასაკის, თაობის მკითხველი.

წიგნის ავტორი ვახტანგ გასვიანი ბოლოთქმაში წერს: *„დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია ახალგაზრდობამ იცოდეს რაზე დგანან ისინი. წინაპრების მაგალითზე მათ შეუძლიათ ისწავლონ, პირველ რიგში, სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის თავდადება, ერთმანეთისადმი პატივისცემა და წინაპართა არდავიწყება“*.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:
ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 0102 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲢᲔᲢᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. №3
ᲢᲔᲚ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲠᲔᲙᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘ: ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“ ს/კ 202058735
Ა/Ა GE86BG0000000123631000GEL, Ს.Ს. „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ“ Ბ/Კ BAGAGE22,
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK